645
1964/2.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თებერვალი
№ 2 1964 წ.

ლაჟვარდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ცოტა ხნის წინათ მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობამ. საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მუავანაძემ, ფართოდ იყო გაშუქებული ის დიდი მიღწევები, რომლებიც განვლილ პერიოდში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა ეკონომიკის კულტურის და განათლების ყველა დარგის განვითარებაში.

ყრილობის დელეგატებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების შესახებ და პირობა მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს:

„საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი კვლავაც იქნებიან ეკონომიკის, კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში“.

ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი

ფოტო ვ. გინზბურგის

60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტს ალიო მირცხულავას.

ალიო მირცხულავას შემოქმედებითი ბიოგრაფია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე იწყება. ამიტომაც, სამართლიანად თვლიან მას ქართული საბჭოთა პოეზიის ერთერთ ფუძემდებლად. საბჭოთა სამშობლოს სიყვარულმა შთააგონა პოეტს ომახიანი, ვაჟკაცური შემართების ლექსები. მისი „ლენინი", „დამკვრელი ბრიგადები", „საქართველო", „დგას ორი ქალაქი — ორი ძმადნაფიცი", „ვერხვი" და ბევრი სხვა ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში. ხალხს უყვარს მისი ეპოსიც. ა. მირცხულავას პოემა „ენგური" დიდი სიმღერაა სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ საბჭოთა ადამიანებზე, ახალი დროის ადამიანებზე.

შრომის ენთუზიაზმი, ჩვენი ქვეყნის განახლებული სახე, ლენინური ახალგაზრდობა, აი, რა იყო და არის პოეტის შემოქმედების ამოუწურავი თემა.

„ჰე, მამულო! შენს თეთრ გუშაგს განა რული მორევია", ამბობს ერთგან ალიო მირცხულავა. დე, ნურასოდეს მორეოდეს რული მის თვალს. დე, დიდხანს ფეთქავდეს პოეტის გული ჩვენი პოეზიის საკეთილდღეოდ.



ალიო მირცხულავა

ვერხვი

კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი, მხრები ამიტოტებია,
ვინმე ხრამში თუ გადასცდა, — ხელი გამიწოდებია,
მეხს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს, — ტანი აუშოლტებიათ,
ფრთებს ისხამენ მტრედები და... საბუდარებს შორდებიან,
ახლაც ვებრძვი ქარს და — წვიმას გული აუშფოთებია,
თუ სიტყვები მცვივა, განა — შემოდგომის ფოთლებია?

მცვივა, განა მცილდებიან, თრთიან, განა ხუნდებიან,
ადრე აბიბინდებიან, უფრო ადრე ბრუნდებიან,
განა მწუხრის ბინდებია, — ეს მტრედების გუნდებია,
მხრებზე დამაფრინდებიან, ტკბილად აღუღუნდებიან.

ჰე, მამულო! შენს თეთრ გუშაგს განა რული მორევია,
ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის მორევია,
გაჰქრა ღამე, — აღარც ბრძოლა, აღარც ომის ტბორევია,
ეს ჭრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის ნაამბორევია.

მეც ვშფოთავდი! საგულეში ცეცხლის ალი ფრიალებდა,
წკრიალებდა გულის კარი, თუ ცისკარი ჭრიალებდა,
მეც ვშფოთავდი და ფიქრებში ტევრი მწარედ შრიალებდა,
ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ, ტანში გამაჟრიალებდა.
შენ გიცავდი, შენთვის დამჭრეს, შეწყდა სისხლი და იარა,
შემიხორცდა ნატყვიარი და ტკივილმაც გაიარა.

ქიმია-სოფლის ეკონომიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიმიის სასწაულებს უნდა დავაუფლოთ მინდვრის მშრომელები, მეცხოველეობის, მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები; დავაინტერესოთ ისინი, რომ შეისწავლონ ქიმია...

მხოლოდ იმ პირობით, თუ მშრომელთა ფართო მასებს ეცოდინებათ რას გვაძლევს ქიმია, ეცოდინებათ ქიმიური გზით შექმნილი მასალების თვისებანი, საქმეში მათი უნარიანად გამოყენება, შევძლებთ გამოვიყენოთ მდიდარი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია სახავს.

ნ. ს. ხრუშჩოვი

ლაბორანტი ტერეზა მეგრელიშვილი

რეპორტაჟი

მეცნიერი მუშაკი ცაცა გიორგაძე რქაწითლის რამდენიმე ეგზემპლარზე მიგვითითებს:

— ესენი ერთიდაიგივე ძირის ნაყოფია. განვითარებელი მტევანი ქლოროზით დაავადების შედეგია. მეორე, როგორც ხედავთ, ნორმალურია. ეს უკვე ნაწამლია.

ვათვალიერებთ ქლოროზით (სიყვითლით) დაავადებულ ვაზის ფოთლებს, ყვითელს, უსიცოცხლოს. ფოთოლი მცენარისთვის ფილტვიცაა და კუჭიც, ამიტომ ქლოროზით დაავადებული მცენარე ჰკარგავს სუნთქვის და კვების უნარს, წყვეტს განვითარებას, ნაყოფი უწვრილდება, დროთა განმავლობაში კი მცენარე ხმება, კვდება. ეს დაავადება განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

ქლოროზით დაავადებას მცენარეში ზოგიერთი ნიადაგური საკვების ნაკლებობით ხსნიან. ამიტომ მეცნიერები შეუდგნენ მასთან ბრძოლის ისეთი საშუალების ძებნას, რომ მცენარეში ამ საკვების ნაკლებობა აღედგინათ. საქმეში ჩაერია ქიმია და აი, ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდეგ, საქართველოს ქიმიის ინსტიტუტთან არსებულმა კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ შიშნიაშვილმა, მეცნიერ მუშაკებმა მარია ტარენკომ, ლილი ოდილავაძემ და სხვებმა მიაგნეს იაფფასიან, მაგრამ ამავე დროს ეფექტურ საშუალებას: სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნარჩენებისაგან მიიღეს ყველა იმ ნივთიერების შემცველი პრეპარატი, რომელთა ნაკლებობა ქლოროზს იწვევდა. ანტიქლოროზული პრეპარატის შესხურებით, ინექციითა და ნიადაგ-



ფოტო დ. იაკობაშვილის

ში შეტანით მცენარეს ფოთლები გაუმწვანდა, ნაყოფი დაუმსხვილდა. ასეთი ცდები ოთხი წელია ტარდება საქართველოს, სომხეთის, უკრაინისა და მოლდავეთის რესპუბლიკების მებაღეობა-მევენახეობის მეურნეობებში. ანტიქლოროზული პრეპარატის ეფექტი თვალსაჩინოა. 7,2-14 პროცენტით გაიზარდა მოსავლიანობა, 2-3 პროცენტით გადიდდა შაქრიანობა. მომავალი წლიდან ვარაუდობენ ამ პრეპარატის ფართო მასშტაბით გამოყენებას. ლაბორატორიის ექსპერიმენტულმა საამქრომ უკვე დაამზადა 2-3 ტონამდე პრეპარატი. გაჯანსაღდება ასობით და ათასობით ჰექტარი ვაზი, ვაშლის, ბლის, კომშისა და სხვა ხეხილის ბაღები.

პრეპარატის პრაქტიკულად გამოყენების ცდებს ჩვენს რესპუბლიკაში დარგობრივი დაწესებულებანი ატარებენ. ლაბორატორიიდან კი— ცაცა გიორგაძე. მის ჰერბარიუმში მრავლად ნახავთ გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, გორისა და სხვა რაიონების ბაღ-ვენახებიდან წამოღებულ დაავადებული მცენარეების ფოთლებსა და ნაყოფებს. იქვეა უკვე განკურნებულ მცენარეთა ნიმუშები.

კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკები ამჟამად პრეპარატის მიღების ტექნოლოგიის საბოლოო დახვეწასა და საწარმოო პირობებში მისი ფართოდ გამოყენების საკითხებზე მუშაობენ.

...მაგიდებზე ჩამწკრივებულია კოლბებში ჩასხმული შავი ფერის სსნარი — ანტიქლოროზული პრეპარატი. ახალგაზრდა ქიმიკოსები: მეცნიერ-მუშაკი ლამარა ქურიძე, ლაბორანტები ტერეზა მეგრელიშვილი და მაგული ელგენდერაშვილი მორიგი ლაბორატორული ცდისათვის ამზადებენ ავტომატურ კოლექტორს.

კოლბებში იქანგება პროდუქტი, რომელსაც შემდეგ ანეიტრალებენ. ეს მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოა. ავტომატურ კოლექტორში დაჟანგული პროდუქტი კვირეების განმავლობაში იყოფა ფრაქციებად და უკვე ნაერთებად დანაწილებული, წვეთ-წვეთად ჩამოდის კოლექტორიდან. მერე საზღვრავენ მის ოპტიკურ სიმკვრივეს, აქტივობას, მარუდიქცირებელი ნივთიერების რაოდენობას...

გაივლის დღეები და კოლბებთან თავდახრილი ადამიანები მიაგნებენ პრეპარატის ყველაზე ეფექტურ და ყველაზე ადვილად მიღების მეთოდს. უფრო უკეთ იხარებს ქართული ვაზი, ხეხილი.

ციხანა ჟორჟოლიანი

მეცნიერ-მუშაკი მარია ტარენკო





პროფესორი ბ. ზაზნაშვილი
და აგრონომი ცაცა გიორგაძე

ზემოდან ქვემოთ: ოლღა, ზინა, ნინო და ფლორენცია თოდრიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგია ოჯახი

გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის რაზმები თარეშობენ გურიაში... ცეცხლი და კვამლი გადადის სახლიდან სახლზე. სოფლებში ისმის „ბიჭვა“ და კვნესა, მოხუცების მოთქმა და გოდება. პლასტუნები ძარცვავენ ოჯახებს, აპატიმრებენ გლეხებს მიზეზით თუ უმიზეზოდ.

მაგრამ ვერავითარი ძალა გურული გლეხობის რევოლუციურ სულისკვეთებას ვერ ტეხს, მათი ბრძოლა, მთელი საქართველოს რევოლუციურ ძალებთან მძლავრ ნაკადად შეერთებული, 1921 წლის 25 თებერვალს გამარჯვებით გვირგვინდება.

საერთო საქმის გასამარჯვებლად იბრძვის გურიის თითქმის ყველა მშრომელი გლეხი. მათ შორისაა ჩოხატაურელი თომა თოდრია თავისი ცოლშვილით. მისი მეუღლე ათინო დოლიძე, ცნობილი რევოლუციონერების — როსტომ დოლიძისა და ნინო ფოცხიშვილის ღვიძლი და, ქმარშვილთან ერთად აქტიურად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. მათი ბინა ბოლშევიკების საიდუმლო კრებების, პროკლამაციების და აკრძალული წიგნების საფრად იქცევა.

თომა პროკლამაციებს და ბოლშევიკურ გაზეთს „ბრძოლას“ უკითხავს სურების ტყის კონცესიონერის — ინგლისელი კაპიტალისტის ელიოტ სკოტის მუშებს, ბოღმით შესცქერის ალიხანოვ-ავარსკის ჯარებისაგან გადაბუგულ გურიის სოფლებს, მაგრამ იმედს არ კარგავს, დარწმუნებულია რევოლუციის გამარჯვებაში.

თოდრიების ოჯახი ბოლშევიკური ოჯახია. უფროსები ბოლშევიკური პარტიის წევრები, ხოლო ახალგაზრდები კომკავშირელები არიან. მათთან ხშირად იყრიან თავს ძველი ბოლშევიკები. თათბირობენ არალეგალური ჟურნალ-გაზეთების და პროკლამაციების გავრცელებაზე. მერე თომას ქალიშვილები მოსახლეობაში ავრცელებენ ამ ლიტერატურას.

მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, გურია ერთერთი განათლებული კუთხეა საქართველოში, აქაური გლეხები სწავლას ესწრაფვიან, ძალას არ ზოგავენ სკოლების, ბიბლიოთეკების გასახნელად.

შვიდი შვილის მამა თომა თოდრია გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებს განათლება მიაღებინოს შვილებს. ოთხი ქალიშვილი: ოლღა, ზინა, ნინო, ფლორენცია შემდგომში პედაგოგები გახდნენ...

პედაგოგების ოჯახი, ასე უწოდებენ თოდრიების ოჯახს ჩოხატაურში.

ოლღა ჩხიკვიშვილი

თომას უფროსი ქალიშვილი ოლღა 1899 წელს დაიბადა დაბა ჩოხატაურში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო გიმნაზიაში, ხოლო მერე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების ისტორიის ფაკულტეტი.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ოლღა, 1917 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის ის 1918 წელს სამუშაოდან მოხსნეს (მუშაობდა ჩოხატაურის ტელეგრაფში) და მენშევიკურ ხელისუფალთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ოლღა თოდრია-ჩხიკვიშვილი დაინიშნა ბათუმის კრუპსკაიას სახელობის ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად. თერთმეტი წელი ხელმძღვანელობდა ამ სასწავლებელს და ამ ხნის მანძილზე, როგორც პედაგოგმა, დიდი როლი შეასრულა აჭარელ ქალთა „გამოღვიძებაში“. მისი აღზრდილი მრავალი აჭარელი ქალი, რომელთაც თავი დააღწიეს ისტორიული უკუღმართობით შექმნილ ჩამორჩენილობას, დღეს აქტიურად მონაწილეობენ აჭარის სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის აღმავლობაში.

შემდეგ წლებში ოლღა ჩხიკვიშვილი აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილეა, ხოლო უკანასკნელი 14 წლის მანძილზე — ვ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის პირველი პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი. ეს იყო ოლღას საყვარელი სკოლა, აქ მან გაატარა მრავალი წელი და გასწია დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ოლღა ჩხიკვიშვილი რამოდენიმეჯერ აირჩიეს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრად და საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ხანგრძლივი და უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, მიიღო მთავრობის ჯილდოები.

ორმოცი წელი ასწავლიდა ოლღა თავის საყვარელ საგანს ისტორიას. გულისხმიერი და კაცთმოყვარე, ენერგიას არ ზოგავდა მომავალი თაობის კულტურული და ზნეობრივი აღზრდისათვის. მისი გაკვეთილები ყოველთვის მიმზიდველი და შინაარსიანი იყო.

ოლღამ, შესანიშნავმა მეუღლემ და დედამ, სამი შვილი აღუზარდა სამშობლოს.

სამწუხაროდ, ამ რამოდენიმე წლის წინათ გაზეთებმა გვაუწყეს ოლღა ჩხიკვიშვილის გარდაცვალების შესახებ. რესპუბლიკის მასწავლებელთა რიგებს გამოაკლდა ერთერთი მოწინავე პედაგოგი.

საბჭოთა მასწავლებელი

საზოგადოებრივი აღზრდის რთულ ორგანიზმში ყველაზე მთავარი და უმთავრესი მასწავლებელია — ამბობდა დიდი პედაგოგი კ. უშინსკი.

უშინსკის ალბათ ზინა თოდრიას მსგავსი პიროვნება ჰყავდა მხედველობაში, როცა ამ სტრიქონებს წერდა; ადამიანის აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეს ის მხოლოდ ისეთ მასწავლებელს ანდობდა, რომელიც არა მარტო პროფესიით, არამედ შინაგანი მოწოდებით, ბუნებით იქნებოდა პედაგოგი.

...მთელი ღამე არ ეძინა მაშინ ზინას. უჩვეულოდ ღელავდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო 15 წლის ქალიშვილი პირველად უნდა შესულიყო კლასში, როგორც მასწავლებელი.

პირველი გაკვეთილი — პირველ კლასში! ამაო გამოდგა ღელვა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბავშვები გასუსული ისხდნენ მერხებზე და მასწავლებლის თითოეულ სიტყვას გაფაციცებით ისმენდნენ...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ ზინას აღზრდილები და ცხოვრებაში გამოულეველ საგზლად გაჰყვათ მასწავლებლის კეთილი რჩევა-დარიგება, შრომისა და სიმართლისადმი სიყვარული.

რთულია პატარებთან მუშაობა: მათთვის წერა-კითხვის სწავლება, მათში გულწრფელობის, თავაზიანობის, წესიერების გამომუშავება.

საინტერესოა რა მეთოდებს, რა ხერხებს იყენებს ზინა თოდრია კლასის წარმატების მისაღწევად? ის სწავლობს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თვისებებს, ეძებს სწავლაში ჩამორჩენის მიზეზებს და ზრუნავს ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად. სასწავლო წლის დაწყებისთანავე ყურადღებას აქცევს წერის კულტურის ამაღლებას, კითხვის წესების გამომუშავებას. სისტემატური კავშირი აქვს მშობლებთან. მშობელთა კრებებზე ჩატარებული მისი საუბრები დედებს უადვილებს შვილების საშინაო დავალების შემოწმებას. ამიტომაა, რომ მისი კლასის მოსწავლეთა ნახევარი ფრიადოსანია, დანარჩენი კარგოსანი. ჩამორჩენილი მოსწავლე ზინას არა ჰყავს.

იმ ბევრ კარგ თვისებასა და ჩვევას შორის, რასაც ასე სათუთად ნერგავს ზინა თოდრია ბავშვებში, განსაკუთრებული ადგილი შრომისადმი სიყვარულის აღზრდას აქვს დათმობილი. ორმოცდასამი წელია რაც ზინა პირველი კლასის მასწავლებლად მუშაობს. ჩოხატაურის პირველ საშუალო სკოლაში, მასთან ხშირად მოდიან დაწყებითი კლასების ახალბედა მასწავლებლები. პედაგოგი თავის ცოდნასა და გამოცდილებას ყოველთვის დაუზარებლად გადასცემს მათ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ზინა თოდრია დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, ნიშნით — „სახალხო განათლების წარჩინებული“ და მედლებით. 1951 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეცნობა მამა-პაპათა სახელოვანი რევოლუციური ბრძოლების მატიანეს. ამ მატიანეში ზინასა და მის დებსაც უჭირავთ გარკვეული ადგილი.

1919 წელს ბორის ძნელაძის ინიციატივით ჩოხატაურში ჩამოყალიბდა „სპარტაკის“ ადგილობრივი ორგანიზაცია. 14 წლის ზინა, თავის დებთან— ოლღა და ნინო თოდრიებთან ერთად, პირველი შედის ამ ორგანიზაციაში. იმავე წელს ზინამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების მიერ ჩოხატაურში მოწყობილ რევოლუციურ გამოსვლებში. იმ დღიდან ზინა კომკავშირული და პარტიული მუშაობის აქტიური მონაწილეა.

ნინო

უშიშარი ბავშვი, ასე ეძახდნენ მშობლები ნინოს. ყოველ საღამოს გოგონა სადღაც მიდიოდა და შემდეგ მძიმე ტვირთით ბრუნდებოდა შინ. მას ჭიშკართან შეშინებული მამა ელოდა, შვილს „საშიშ ტვირთს“ ჩამოართმევდა, სახლში შევიდოდნენ და მერე მამა-შვილი ჭრაქის შუქზე ქუთაისში გასაგზავნ არალეგალურ ლიტერატურას არჩევდნენ.

დილით მამა რკინიგზის სადგურზე წავიდოდა, უკან დაბრუნებულს, ქალიშვილები გამზადებულ ჩემოდანს დაახვედრებდნენ. ახლა სადგურში ნინო მიდიოდა ჩემოდნით ხელში. სადგურის უკან ეტლები იდგნენ. ნინომ იცოდა რომელ ეტლში უნდა ჩაედო თავისი ტვირთი.

ერთხელაც ასე იყო: თომა სადგურში წავიდა, ბავშვები სკოლაში გაისტუმრეს. ნინო სახლში დატოვეს. იგი მამის დაბრუნებას ელოდა. ეზოში „დაუპატიჟებელი სტუმრები“ — მამასახლისი და პლასტუნები შემოლაგდნენ. ათინო დაიბნა, ფეხი ვეღარ გადაადგა. აივნის თავზე გაციებული ღიმილით შეეგება მათ.

— თქვენსას თურმე აკრძალული წიგნები ინახება. სახლი უნდა გავჩხრიკოთ! — თქვა მკაცრად მამასახლისმა.

— ვინ გითხრათ, ბატონო, ვინ დაიდო ჩემი ოჯახისა და წვრილშვილის ცოდვა, რა უნდა ჩემსას აკრძალულ წიგნებს! — გაიკვირვა გონზემოსულმა ათინომ.

ფანჯარასთან მდგომმა ნინომ ყველაფერი გაიგონა. ვიდრე დედა მოსულებს ეფიცებოდა, მან ხის კიბე, რითაც ადიოდნენ სხვენზე, სადაც აკრძალული წიგნები ჰქონდათ დამალული, სახლის მეორე მხრიდან ჩუმად ბაღში ჩაათრია და სიმინდებში დამალა.

მოსულებმა ყველა კუნჭული გადმოატრიალეს (სხვენი აღარ მოაგონდათ), საეჭვო ვერაფერი ნახეს და იქაურობას გაეცალნენ.

...ჩოხატაურის სკოლის დამთავრების შემდეგ, ნინო ჯერ ქობულეთში მასწავლებლობდა, შემდეგ კი — ბათუმში, ლენინის სახელობის ქართულ შვიდწლედში.

1930 წელს ნინო თოდრია აჭარის განათლების კომისარიატმა და პარტიის საოლქო კომიტეტმა სასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგზავნეს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნინო თბილისის სხვადასხვა სკოლებში მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგედ, სკოლის დირექტორად.

ქიმიკოსი

დებს შორის იგი უმცროსი იყო. მაგრამ კარგად ახსოვდა მათ სახლში ღამ-ღამობით გამართული ფაცაფუცი: მოჰქონდათ წიგნები, აგზავნიდნენ პროკლამაციებს, ზოგჯერ ზინა და ნინო მეზობლისას მიდიოდნენ, სადაც არალეგალური კრებები იმართებოდა. ერთხელ ისიც წაიყვანეს დებმა კრებაზე. იქ სიტყვებით გამოდიოდნენ მეზობლები, ლაპარაკობდნენ უცნობები. მერე კომკავშირის რიგებში მიიღეს ფლორენცია. ხოლო, როცა ჩოხატაურში ქალთა წრე ჩამოყალიბდა, ფლორენციას მდივნის მოვალეობა დააკისრეს.

ათწლედის დამთავრების შემდეგ, 17 წლის ფლორენცია აღმზრდელად იწყებს მუშაობას კოჯრის საბავშვო სახლში, მაგრამ ქიმიის სიყვარული ქალიშვილს თავისკენ იზიდავს. 1934 წელს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე შედის, წარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტს და ორგანული ქიმიის კათედრაზე ლაბორანტად ტოვებენ. ამავე დროს, პარალელურად მუშაობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრაზე ასისტენტად. საბოლოოდ პედაგოგიურ მუშაობას ირჩევს და სამედიცინო ინსტიტუტში რჩება.

25 წელია ფლორენცია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობს — პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებს სტუდენტებთან არაორგანულ ქიმიაში. იგი სერიოზული შრომის ავტორიცაა. ახლა სადისერტაციო თემას ამზადებს.

ფლორენცია ორი შვილის დედაა, ორივენი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

* * *

გურია ახლა კოლმეურნეობებითაა დაფარული. ჩაი და ციტრუსები მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების წყარო გახდა. „მიწის საკითხი“, საუკუნეების მანძილზე ასე რომ აწუხებდა და სტანჯავდა გურულ გლეხკაცს, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა.

მამის ანდერძს პირნათლად ასრულებენ ქალიშვილები, მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებიან...

ირმა ჩოფიკაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ბავშვმა იცოცხლოს

აქ ადამიანები მოდიან მაშინ, როცა უჭირთ. გაჭირვება მათ აკარგვინებს მხნეობას, ზოგჯერ იმედსაც და უცვლის სახის გამომეტყველებას. შიშჩამდგარი მოუსვენარი თვალები თხოულობენ გადაუდებელ დახმარებას ჯიუტად და გამოუთქმელი ტკივილით. ამ ადამიანებს ყველაზე დიდმა ინსტიქტმა, მშობლის ინსტიქტმა მოაყვანინა შვილები გადასარჩენად.

ეს არის სახლი, რომლის ფანჯრებსაც იმედით ახედავენ მოსულები და ღელვით შედიან მისაღებში.

პირველი გაცნობა ამ შენობასთან სწორედ მისაღებით იწყება. მიმღებში ოცდაოთხი წელია ზის ნინო გვარამაძე. გამოცდილება დიდი აქვს ნინოს. ძნელია აღრიცხვა, თუ რამდენი ათასი

ლიდა შარაშიძე
პატარა პაციენტთან

ბავშვი მიუღია, ზოგჯერ უიმედო ავადმყოფიც, მაგრამ ექიმის პროფესია მას ასე ესმოდა თავიდან — მკურნალი უნდა იყოს მშვიდი და უნდა

თერაპიული განყოფილების ექიმები პროფესორ თოხაძესთან ერთად იხილავენ
ბავშვთა მკურნალობის მეთოდებს

შეეძლოს ავადმყოფის გამხნევება — ეს არის პირველი სასწრაფო დახმარება გაჭირვებულისათვის.

აქ ადამიანები მოდიან მაშინ, როცა უჭირთ. ეს იციან ექიმებმა და მიჩვეული არიან იმ მდგომარეობას, რომ ირგვლივ ხედავენ მხოლოდ ავადმყოფებს.

იქნებ ძნელია?

თუ დაუკვირდებით, ნამდვილად ძნელია მთელი ცხოვრება გესმოდეს კვნესა, უყურებდე ტკივილებს, ყოველ წუთს დაჭიმული ნერვებით ელოდე მდგომარეობის გაუმჯობესებას, ყოველ წუთს ელოდე არ წამოგეპაროს მარცხი, არ დაგეკარგოს ადამიანი...

თუ დავუკვირდებით, მაშინ მისვდებით, როგორ იღლებიან ექიმები ამ ნერვიულობაში, ამ დიდ შრომაში, რომელსაც უფრო სწორად ბრძოლა ჰქვია, სიცოცხლისათვის ბრძოლა. ექიმს, თუ ის ნამდვილი ექიმია, არ ახსოვს პირადი, იგი გრძნობს, რომ მის წინ ავადმყოფია და სხვა ყველაფერი ქრება.

— ქალაქის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ნოე მთვარაძე) თქვენ ნახავთ ასეთ ექიმებს, — დამარწმუნა საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ სამკურნალო ნაწილში ლიდა შარაშიძემ. ლიდა სხვებზე კიდევ ბევრს ამბობს, მაგრამ მისი, როგორც მკურნალი ექიმის ბიოგრაფია, არ არის ნაკლებ

საყურადღებო. მან დაიწყო საექიმო მოღვაწეო
ქალაქ მახარაძეში. ეს სწორედ ომის მძიმე წლ

ბი იყო, როცა მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, გ
რდა პატარების მკურნალობისა, მუშაობა უხდ
ბოდა ბავშვთა პოლიკლინიკის გამგედ, რაიონ
ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ, მონაწ
ლეობდა ჰოსპიტალის ორგანიზაცია — დაკომ
ლექტებაში. რაიონში მის გულისხმიერ და ნაყო
ფიერ მუშაობაზე მეტყველებს ის ჯილდოებ
რომლებიც იმ პერიოდში მიიღო. 1945 წლიდ
ლიდამ მოასწრო ყოფილიყო თბილისის ბავ
შვთა საავადმყოფოს პედიატრი, ჰოსპიტალუ
რი პედიატრიის კათედრის ორდინატორი, ამა
კათედრის ასისტენტი, განყოფილების გამგე.

ამბობენ, რომ ექიმები ეჩვევიან უბედურებას დ
გულქვები ხდებიან. ლიდას წყინს, რომ ამას ამ
ბობენ საერთოდ ექიმებზე. ეს რომ მართალი იყო
განა ყოველდღიურად მიღებული სულიერი ტკი
ვილების გამო ასე შერყეული ექნებათ ჯანმრთ
ლობა ექიმებს? ცნობილია, რომ ექიმები ნაად
რევად ტყდებიან. მათთვის ხომ არ არსებობს გან
სხვავება დღესა და ღამეში, არ არსებობს დასვე
ნების საათი!

„სასწრაფოა“ — მხოლოდ ეს სიტყვა საკმა
რისია, რომ ექიმი ტოვებს ბინას, საკუთარ შვი
ლებს, ზოგჯერ ტოლმეგობრებთან გაწყობილ სუ
ფრას, ზოგჯერ კონცერტს ან რაიმე საინტერეს
წარმოდგენას.

„სასწრაფოა“ — ამ სიტყვას შემოჰყავს იგ

თერაპიულში, ქირურგიულში, ყელ-ყურის, თუ ნერვიულ განყოფილებაში.

„სასწრაფოა" — ასე შეატყობინეს ღამის სამ საათზე ირაკლი ციციშვილს. ბავშვს ჰქონდა კრუნჩხვითი მოვლენები. ირაკლი ციციშვილმა დასვა დიაგნოზი — ფილტვების ანთების მძიმე ფორმა — და დაუნიშნა მკურნალობა. ექიმმა გაითვალისწინა ყველაფერი—ბავშვი იყო ტყუპის ცალი, იზრდებოდა ხელოვნურად. ამის გამო მას განუვითარდა რაქიტი. ასეთ ბავშვებში ყოველი დაავადება მძიმედ მიმდინარეობს, რის გამოც საჭიროა მაქსიმალურად ვერიდოთ ბავშვის ხელოვნურ კვებაზე გადაყვანას და უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ პედიატრის დანიშნულებასა და მკურნალობას ვენდოთ.

სასწრაფო გამოძახებაზე აქ ხშირად მოდიან თერაპიული განყოფილების დოცენტი ქრისტინა ქუთელია, ასისტენტები — ეთერ ონაშვილი, თამარ წერეთელი. განყოფილების გამგეები — ვასილ ქორიძე, თორნიკე კერძაია. მათი დახმარებით მორიგე ექიმებს, რომლებიც ღამის განმავლობაში საავადმყოფოში არიან, უმსუბუქდებათ მუშაობა.

თერაპიულ განყოფილებაში უმეტესად წვანან რევმატიზმით, გულით, თირკმლებით, ფილტვებით დაავადებული ბავშვები. მაგრამ დღეს მედიცინისათვის ამ დაავადებათა დაძლევა არ არის ძნელი. ასეთი ავადმყოფი ბავშვები ინკურნებიან. და მათ სამუდამოდ რჩებათ მახსოვრობაში ის დიდი ყურადღება და ტკბილი სიტყვა, რომლითაც ბუნებას ასე უხვად დაუჯილდოვებია მკურნალები — მერი ოყროშიძე, ქეთევან დადიანიძე, სათო დარჩიევა, მარგო დანელია.

როცა ბავშვები გამოჯანმრთელდებიან, როცა მათ შეუძლიათ ადგომა და სიარული, ისინი ფანჯრებს მიადგებიან და იცქირებიან გარეთ.

მაშინ ექიმები ხვდებიან, რომ ბავშვები მოწყენილად გრძნობენ თავს. ისინი მათ თვალებში კითხულობენ დიდ სურვილს — გავიდნენ გარეთ. და ეს ნიშნავს ძალიან ბევრს — იმას, რომ ბავშვი გამომჯობინდა, რომ მას აქვს ინტერესი დაუბრუნდეს იმ წრეს, იმ სამყაროს, საიდანაც მოვიდა, რომ მას საამისო ძალა გააჩნია, შეუძლია ირბინოს, შეუშვიროს სახე ქარს, წვიმას. ექიმისათვის ეს არის ყველაფერი — აქ ჩანს სიცოცხლის სიყვარული, სიცოცხლის დაუთმობლობის უნარი.

საავადმყოფოს ოთხივე განყოფილება — თერაპიული, ქირურგიული, ყელ-ყურის და ნერვიული — თავიანთ მუშაობაში დაკავშირებული არიან ერთმანეთთან.

თუ თერაპიულ განყოფილებაში მოყვანილი ბავშვი მოითხოვს ყელ-ყურის ექიმის კონსულტაციას, იგი ყოველთვის უზრუნველყოფილია.

კბილის ფესვის ამოღებას ოპერაციას



შემოვლაზე

ზოგჯერ ყელ-ყურის სპეციალისტის აზრიც აუცილებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში

კაპიტონ შონია ყელ-ყურის საუკეთესო სპეციალისტია. მას აქვს უტყუარი ხელი და გულთბილი მიდგომა ბავშვებისადმი. ოპერაცია თუმცა არ არის ხანგრძლივი, მაგრამ მტკივნეულია და უსიამოვნო. ამ შემთხვევაში ბევრი რამ შეუძლია ექიმის დაყვავებას, ბავშვთან ტკბილ საუბარს.

ყოველთვის მოუსვენარ და მუდამ მზადყოფნის მდგომარეობაში კი მაინც ქირურგიული განყოფილებაა.

აი, მოიტეხა ბავშვმა ფეხი, ან რაიმე გაუფრთხილებლობის შედეგად დაზიანდა... ოპერაცია და მხოლოდ სასწრაფო ოპერაცია უშველის მას.

რა ვუყოთ, რომ ღამეა და ქალაქს სძინავს. ხელები გულდაგულ იბანება საპნით, საოპერაციო და აწვდის სტერილიზებულ იარაღს და ქირურგ ჭრის, კერავს... ამ შემთხვევაში მილიმეტრშიც არ უნდა შეცდე, ამ შემთხვევაში თვალმა და ხელმა არ უნდა მოგატყუოს.

ექიმი-ლაბორანტი ს. აბზიანიძე

ქირურგიულ განყოფილებაში კეთდება ბევრი რთული ოპერაცია. განყოფილების გამგე მიხეილ ჭავჭანიძე, ბავშვთა ქირურგიის და ორთოპედიის კათედრის გამგე ლევან ავალიანი, ორდინატორები — მარგალიტა ჭანტურიშვილი, ეთერ ვარდოსანიძე, ასისტენტები — გივი ჟვანია, სერგო ჩხარტიშვილი და განყოფილების სხვა ექიმები ინაწილებენ ავადმყოფებს, ამზადებენ საოპერაციოდ, უკეთებენ ოპერაციას და გამოჯანმრთელებულს ისტუმრებენ.

ბავშვი არ უნდა დაიღუპოს — ეს არის მათი უპირველესი მიზანი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბავშვი გადარჩეს, ბავშვმა იცოცხლოს.

აქ არა აქვს მნიშვნელობა, როგორ გრძნობს თავს ექიმი-ოპერატორი, დაიღალა თუ შეუძლია გააგრძელოს ოპერაცია. ქირურგიული განყოფილების მორიგე ექიმები, ან სასწრაფო შემთხვევისას გამოძახებული ოპერატორი ვალდებულია იდგეს დაუღლელად და თუ შემთხვევაა, ზედიზედ გააკეთოს ორი, სამი, ოთხი ოპერაცია.

ასეთი შემთხვევები კი ხშირია. ზოგჯერ ერთ ღამეში სამ-ოთხ ოპერაციას აკეთებენ. ასე იყო იმ ღამითაც, როცა მარგალიტა ჭანტურიშვილმა ზედიზედ ოთხი სასწრაფოდ საოპერაციო ავადმყოფი მიიღო. მერე, როცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, როცა ოთხივე ბავშვს ააცილა ხიფათი და პალატებში გაიყვანა, მარგალიტა მაშინ შევიდა სამორიგეოში და მძიმედ ჩამოჯდა. დაღლილობამ, ნერვებმა, გატეხილმა ღამემ — ყველაფერმა ერთბაშად იჩინა თავი...

აქ ადამიანები მოდიან მაშინ, როცა უჭირთ. აქ ადამიანები ეძებენ შველას. და ამიტომაც მთელი ქირურგიული განყოფილება, კერძოდ, სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის კათედრა მუშაობს ურთულეს და ძირითად პრობლემებზე, ეძიებს მკურნალობის ახალ ხერხებსა და მეთოდებს.

ერთერთი ასეთი საკითხია ფილტვის სხვადასხვა ქრონიკული დაავადების ოპერაციების ჩატარება. ყურადღებით შეისწავლება, აგრეთვე, ბავშვთა ორთოპედიის საკითხი და მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა, თავის ქალისა და შიგთავსის დახურული ტრავმული დაზიანება და მისი მკურნალობა ბავშვთა ასაკში, მუცლის წინა კედელზე სხვადასხვა სახის განაკვეთების (განივი, სწორი, ირიბი) უპირატესობა და მრავალი სხვა. სიდამწვრის მკურნალობა კიდევ ერთი, მეტად რთული პრობლემაა. ცნობილია, რომ სიკვდილიანობის 90 პროცენტს დამწვრობა იწვევს. წარმოებს სხვადასხვა საშუალებების გამონახვა შოკთან საბრძოლველად.

...ამ დიდ ფანჯრებს ადამიანები იმედით შესცქერიან. ფანჯრებს იქიდან ჩანან მათი შვილები. ისინი ფეხზე დამდგარან, იხედებიან გარეთ და აქვთ დიდი სურვილი — გაირბინონ, შეუშვირონ სახე ქარს, წვიმას. ამაში ჩანს სიცოცხლის სიყვარული, სიცოცხლის დაუთმობლობის უნარი.

და ექიმისთვის ყველაფერია, როცა ამ ფანჯრებიდან იცქირებიან ჯანსაღი სახეები.

კ. ლიაძე



ჩვილ პაციენტთან

ვახტანგ ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

საღამოს კვირეული გაზეთის „ჩიკაგო ივნინგ უიკლის“ რედაქციაში ერთი ფაციფუცი იყო. ამ დღეებში რამდენიმე სენსაცია ერთად მოხდა და რედაქტორი თავს იმტვრევდა, როგორმე ყველგან მიესწრო; თანამშრომლები კი არ ჰყოფნიდა. ჟურნალისტების საქმიანობას იგი ყოველთვის დოღს ადარებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცხენები, როცა ერთად მივლენ ფინიშთან, ორივე გამარჯვებულია, ჟურნალისტებმა კი აუცილებლად უნდა გაუსწრონ ერთმანეთს.

ახლაც ასე იყო. უნდა აიღონ და მოათავსონ ვრცელი მასალა, რომელიც უთუოდ გაზრდის გაზეთის ტირაჟს; ჯერ ერთი, სკანდალი მაკ-მილანთან, მისი პიკანტური დეტალები ძალიან აინტერესებდა მკითხველს; მეორე, ნიუ-იორკის ბანკის თავხედური გაძარცვა, რომელშიც, სარწმუნო ცნობების მიხედვით, ნიუ-იორკის პოლიცია იყო გახვეული.

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ისიც, რომ სრულიად უდროოდროს, როგორც ეს რედაქტორს სჯეროდა, ახლოვდებოდა ცნობილი პროფესორის — ჯერალდო ოსტინის იუბილე, წიგნის ავტორისა — „ბავშვთა ბოროტმოქმედებანი და სოციალური წრე“. რაკი ეს ამბავი სენსაციურ ხასიათს არ ატარებდა, რედაქტორმა გადასწყვიტა ამას ელის ო ბრაიენიც გაართმევს თავსო, იგი სკეპტიკური თვალით უყურებდა ელისის ნიჭს, რომელსაც ჭირივით სძულდა სიყალბე, ტყუილი და სჯეროდა სიკეთე და სიმართლე იზეიმებდა.

პროფესორის მოღვაწეობის შესახებ ელისს წარმოდგენაც არა ჰქონდა, იცოდა მხოლოდ, რომ მას ლომის ფაფარი და ჰემინგუეისავით გრძელი წვერი ჰქონდა, და როგორც ჭარტალა ენები ამტკიცებდნენ, ბევრად უფროსი ცოლი ჰყავდა.

ელისმა წინდაწინ დაურეკა პროფესორს, შეუთანხმდა როდის გამოჰყოფდა მისი ინტერვიუსათვის დროს, უშველებელი ბლოკნოტითა და ავტოკალმით შეიარაღდა და მისი სახლისაკენ გასწია.

თავიდანვე დაითარსა — წვიმამ დაასხა და მშრალი აღარაფერი შერჩენია ზედ. გამვლელები აქეთ-იქით მიიმალნენ. ელისსაც უნდოდა შეეფარებინა სადმე თავი, მაგრამ პროფესორ ოსტინის სახლი იქვე იყო, ხელი ჩაიქნია და დამბალი ტუფლების ჭყაპუნით გზა განაგრძო.

ჩიკაგოს ერთერთ წყნარ ქუჩაზე, პატარა ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა პროფესორი ოსტინი. ელისმა კიბის რამდენიმე საფეხური აიარა. „პროფესორი დ. ოსტინი“, წაიკითხა დაფაზე ამოკვეთილი სიტყვები და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

კარი ზორბა კაცმა გააღო, კაცს ლომის ფაფარი და ჰემინგუეის წვერი ჰქონდა.

— „ჩიკაგო ივნინგ უიკლისაგან“ გახლავართ, — უთხრა ქალიშვილმა და თავისი გვარი დაასახელა. — მგონი, არ შევმცდარვარ? გამარჯობათ, პროფესორო!

— არა, არ შემცდარხართ. გთხოვთ, ქალიშვილო! დილასაქეთია გელოდებით. — კარი ფართოდ გააღო და შეიწვია.

შიგნითა ოთახიდან ჭაღარა, ლამაზი სახის მანდილოსანმა გამოიხედა.

— ქალბატონი ოსტინი გახლავთ, — აუხსნა პროფესორმა. ელისმა თავაზიანად დაუკრა თავი. ქალბატონმა ოსტინმა გაიღიმა და უფრო მომხიბლავი გახდა.

— ყავა მოამზადე, გეთაყვა, — უთხრა პროფესორმა. — ო. ბრაიენი მთლად სველია.

— კი, ძვირფასო, — თავი დაუქნია ქალმა და სამზარეულოსაკენ გაბრუნდა.

პროფესორმა ელისი ვიწრო დერეფანში გააცარა, სადაც გაბმულ თოკზე და თასმებზე ფოტოსურათები შრებოდა. სურათებს რომ არ გასდებოდა, ქალი თავს ღუნავდა და ისე მიდიოდა, თან გულშემოყრილი, სველი ტუფლების ჭყაპუნს უგდებდა ყურს.

წიგნებითა და ჩონჩხებით სავსე კაბინეტშიც, სურათები ეკიდა სხვადასხვა მიმართულებით გაბმულ კანაფზე და თოკზე, პროფესორმა ელისი საწერ მაგიდასთან მდგარ ტყავის დიდ სავარძელში ჩასვა და თვითონაც მოპირდაპირე მხარეს ასეთივე სავარძელში მოთავსდა.

— დავალებული მაქვს პროფესორ ჯერალდ ოსტინზე ნარკვევი მოვამზადო. მინდა მასზე მარტო მეცნიერზე კი არა, ადამიანზეც დავწერო.— თქვა ქალმა და უხერხულად გაიღიმა. — მომიყვეთ, თუ შეიძლება, რაიმე ისტორია თქვენი ცხოვრებიდან. თანაც ისეთი, არავინ იცოდეს.

პროფესორმა ყურადღებით შეხედა ქალს და ჩაფიქრდა. ელისი ჩუმჩუმად ათვალიერებდა მის უბადლო, გულღია სახეს და კეთილ ნაოჭებს თვალებთან, რომლებშიც ბავშვური, მოუსვენარი ნაპერწკლები ციმციმებდა.

ქალბატონი ოსტინი შემოვიდა და ფინჯნით ცხელი ყავა შემოიტანა. მადლობის ნიშნად ელისმა თავი დაუკრა:

— გესმის, ძვირფასო, — სთქვა პროფესორმა, — ო. ბრაიენმა პროფესორ ჯერალდ ოსტინზე ნარკვევი უნდა დაწეროს. თანაც, როგორც მეცნიერზე კი არა, როგორც ადამიანზე. — იგი ელისისაკენ შემობრუნდა. — ხომ სწორედ გავიგე?

— დიახ, რა თქმა უნდა. — დაუდასტურა ელისმა.

— და აი, მთხოვა რაიმე ისტორია მომეთხრო ჩემი ცხოვრებიდან. მე მგონია შეიძლება, ჩვენი მთავარი ისტორია მოვუყვეთ...

ქალბატონმა ოსტინმა ნაზად შეხედა პროფესორს და თავი გადაიქნია.

— ძალიან ძველი ამბავია,—სთქვა სევდიანად.

ელისმა ცხელი ყავა მოსვა და წამაქეზებლად გაიღიმა.

— რომელიც გენებოთ, ძალიანა გთხოვთ.

— ვშიშობ, რომ ეს ამბავი ძალზე ძველია,— გაიმეორა ქალბატონმა ოსტინმა და პროფესორს კითხვით შეხედა.—იქნებ არც ღირდა ოცდაათი წლის წინ მომხდარი ამბის მოგონება... დიახ, თითქმის ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, — ქალს თვალებში ნაღველმა გაუელვა, — პროფესორი ოსტინი მაშინ მთლად ახალგაზრდა იყო. —იგი პროფესორს სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა და ფაფარი ალერსით აუჩეჩა: — მაშინ მეგონა, ამ ფაფარს ჭაღარა არასდროს შეერეოდა...

— რათქმა უნდა, — დაემოწმა კაცი, — მაშინ ამაზე ვინ იფიქრებდა? მე, ყოველშემთხვევაში, არა. დიახ, რითი დავიწყეთ?

— იმით, რომ პროფესორი ოსტინი მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო. — ღიმილით უკარნახა ელისმა. ფინჯანი გვერდზე გადადო, მუხლებზე ბლოკნოტი დაიდო და საწერად მოემზადა.

— დიახ, დიახ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, არავინ არ იცნობდა, უფრო სწორედ, მხოლოდ მის ქუჩაზე იცნობდნენ; იმ ქვეყნიურ არსებათა სთვლიდნენ, რადგანაც სამართლიანობა და სიკეთე სწამდა და მთელ ფულს ან წიგნებში ხარჯავდა, ან იმათ აძლევდა, ვისაც მასზე უფრო სჭირდებოდა. ბავშვებს ოსტინი უფასოდ მკურნალობდა. ხანდახან წამლის ფულსაც თვითონ აძლევდა. ამის გამო ბევრი მას გიჟად სთვლიდა. მისი ოჯახი კი მხოლოდ ქალბატონ ოსტინის უსაზღვრო სიყვარულის, დიდი მოთმინებისა და უნარიანობის წყალობით ახერხებდა თავის გატანას... — პროფესორი მოულოდნელად გაჩუმდა.

ელისმა აიხედა. პროფესორმა სათუთად აიღო ქალბატონ ოსტინის ხელი და აკოცა. „მართლა ქმარზე ხნიერია, — გაიფიქრა ელისმა. — მაგრამ ბევრად არა. რა ლამაზია...“

— ჯერალდ ოსტინი —განაგრძო პროფესორმა, — ჯერ კიდევ იმ წლებში იყო ფოტოგრაფიით გატაცებული...

ქალიშვილმა სწრაფად მოავლო თვალი გაჭიმულ თასმებსა და გირლიანდებს.

—დიახ,—მიუხვდა ქალბატონი ოსტინი და გაიღიმა, — ჩვენს სახლში მუდამ ასეთი საშრობი იყო გამართული...

— რაც მართალია, მართალია, — მხარი აუბა პროფესორმა, — ჩვენთან მუდამ ასე იყო... ჰოდა, ერთ კვირა დღეს ჯერალდ ოსტინი ფოტოაპარატით ხელში ქალაქში სახეტიალოდ გავიდა. შემთხვევით ჩიკაგოს მივარდნილ რაიონში ამოჰყო თავი. ის ის იყო მორიგი სურათის გადასაღებად მოამზადა, რომ ვიღაცამ სახელოზე მოქაჩა. პროფესორი შემობრუნდა და ათიოდე წლის ბიჭი დაინახა. ბიჭი ბინძურ კონკებში იყო გახვეული, თავი დამუწკებული და დაწყლულებული ჰქონდა. ერთი სიტყვით, ამ უბნის ღვიძლი შვილი გახლდათ.

— ათი ცენტი მომეცით, ბატონო! — უთხრა ბიჭმა.

— რატომ მაინცადამაინც ათი? — დაინტერესდა პროფესორი.

— იმიტომ, რომ მეტს არ მომცემთ.

— იქნებ მოგცე. რა გქვია?

— მე ხიუგო-პირუტყვს მეძახიან, ბატონო.

— საინტერესო სახელი გრქმევია. — ჩაილაპარაკა პროფესორმა — მშობლები გყავს?

—არა, ბატონო, დედამ მითხრა მამა გყავდაო. დედა მოსამსახურედ მუშაობდა მასთან, მაგრამ სადღაც წასულა.

— რა კაცი იყო მამაშენი?

— დედა ამბობდა, გათახსირებული იყოო. უპატრონოთა თავშესაფარში მიმიყვანა დედამ და მერე აღარ მინახავს. მაგრამ იქიდან გამოვიქეცი, იმიტომ, რომ ლოცვებს გვაკითხებდნენ, ვინც ცუდად წაიკითხავდა, საჭმელს არ აძლევდნენ.

— ახლა რას აკეთებ? — ბიჭმა მხრები აიჩეჩა: — რაც მომხვდება.

— გინდა, ჩემთან იცხოვრო? — ჰკითხა პროფესორმა. — ჩემთან ლოცვების კითხვა არ დაგჭირდება.

— აბა, კი! ბანაობითა და ფრჩხილების დაჭრით გამიწყალებთ გულს.

— მე?—გაიკვირვა პროფესორმა,—რას ამბობ, რა თქმა უნდა, არა! აი, ქალბატონი ოსტინი კი ...ის, იცი, მეც მაბანინებს და მაჭრევინებს ფრჩხილებს!

ბიჭმა ჩაიფრუტუნა:

— კოხტა-ლორი ამბობს, კაცი რომ ქალს დაემორჩილება, იმისი საქმე წასულიაო. არ იცნობთ ლორის? — თვალებში უმაღლესმა შიშმა გაუელვა... — მთელი ჩიკაგო იცნობს...

ელისი მონაყოლს იწერდა, ხანდახან შეხედავდა ხოლმე. პროფესორს კვლავ ეჭირა ქალბატონ ოსტინის ხელი, ქალი კი თავის მხრივ მორჩილ მზერას არ აშორებდა.

„როგორ უყვართ ერთმანეთი! — გაიფიქრა ელისმა. — რა კარგი და კეთილი სახეები აქვთ. ქალბატონი ოსტინის ღიმილია განსაკუთრებით კეთილი. რა კარგია, რომ ამ შესანიშნავი ადამიანების გაცნობა მომიხდა“.

— ვერ წარმოიდგენთ, — განაგრძობდა პროფესორი, — რა ბრძოლა დასჭირდა კოხტა-ლორის ავტორიტეტის შერყევას, რამდენი საშინელი დღე გამოიარეს პროფესორმა და მისმა მეუღლემ. და ეს იმიტომ, რომ როგორც აღმოჩნდა, ხიუგო-პირუტყვს ტყუილად არ ჰქონდა ეს ტიტული ნაბოძები. უფრო ზუსტად, შეუძლებელი იყო ამ ბიჭის არსის გადმოცემა. პატიოსნებისა და წესიერების ყველაზე ელემენტალურ რამეზეც არა ჰქონდა ბავშვს წარმოდგენა. საშაგიეროდ კოხტა-ლორის ცხოვრების კოდექსი შეესისხლხორცებინა მკვიდრად.

ხარბი, ზანტი, ჯიუტი, ფარისეველი ხიუგო-პირუტყვი საჭირო იყო თუ არა, მაინც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სტყუოდა. და ეს იმიტომ, რომ მიჩვეული იყო გამუდმებულ მონურ ყოფას, დღენიადაგ შიშს, ძლიერთა მიმართ. აკეთებდა ერთს, თავს კი ისე გიჩვენებდა, თითქოს მეორეთი იყო გართული. მუდამ იმას ცდილობდა, როგორმე თავი დაეძვრინა დავალებისაგან, მთლად ფუჭი რაღაცეებით იყო დაინტერესებული. უყვარდა ყურის მიგდება, ჩუმად შეჭყეტა და კმაყოფილი იყო, თუ ვინმეს გააცრუებდა. რამდენი ცრემლი დაუღვრია მისი გულისათვის ქალბატონ ოსტინს. რაც შეეხება პროფესორს, ის უფრო მედგარი და ჯიუტი აღმოჩნდა. ჯიუტობაში შეიძლება ხიუგო-პირუტყვსაც კი შეტოქებოდა. იცოდა ბავშვები ბოროტმოქმედები არ იბადებიან, დაბოლოს, მაინც გაიტანა თავისი. კოხტა-ლორს ბდღვირი ადინა, დამარცხებული კერპი აღარავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ხიუგო სწავლას შეუდგა და პროფესორის მიბაძვაც კი დაიწყო. ბოლოს, ხიუგო-პირუტყვი ნამდვილი ადამიანი გამოვიდა, ისეთი როგორიც პროფესორ ოსტინს ეკადრებოდა. საშინელებაა, რომ წარმოვიდგენ, რა მოუვიდოდა, პროფესორი ოსტინი რომ არ შეხვედროდა...

ელისმა უცბად წერა შეწყვიტა. თავი აიღო და პროფესორს პირდაპირ შეხედა, რომელსაც ისევ ისე ეჭირა ქალბატონ ოსტინის ხელი და არც ქალბატონი ოსტინი არ აშორებდა მორჩილ მზერას.

ელისს უეცრად ყველაფერი სხვაგვარად წარმოუდგა, თითქოს ლამაზი ფარდა გადაძვრა უხეირო სინამდვილეს.

„მე კი მომეჩვენა, კეთილი სახეები ჰქონდათ! — აღშფოთებით გაიფიქრა მან. — ესენი საკუთარ თავზე არიან შეყვარებული და უბრალოდ, სტკბებიან იმით, რომ ოდესღაც, ასი წლის უკან, კეთილი საქმე გაუკეთებიათ. ეს ქალბატონი ოსტინი კი შეყვარებული ბებერი კატაა და მეტი არაფერი; თვალს ვერ აცილებს ქმარს. რა მართალი მეგონა ამათი მაიმუნური მანჭვა-გრეხა! აი თურმე რა იფარებოდა მის ღიმილში! საკუთარი თავისა და ქმარიკოს სიყვარული! ნუთუ არ ესმით, რომ ეს უტაქტობაა, სრულიად დაუშვებელია თავის ასე ქება! საწყალი ხიუგო-პირუტყვი! წარმომედგინა, რამდენს ჩასჩიჩინებენ ზნეობის შესახებ. თავშესაფარის ლოცვები სჯობდა ალბათ“.

პროფესორი კი ლაპარაკს განაგრძობდა იმაზე, რომ ბავშვი არ შეიძლება ბოროტმოქმედი დაიბადოს, რომ ამაში ბრალი სოციალურ წრეს მიუძღვის და ბავშვთა ბოროტმოქმედებისა და მაწანწალობის ლიკვიდაციისათვის ქველმომქმედთა ზომები კი არა სოციალური პირობების შეცვლაა საჭირო, ისე, როგორც ბავშვთა დაავადების შემთხვევაში, მთავარი მკურნალობა კი არა მისი თავიდან აცილებაა.

ელისმა იცოდა, პროფესორი, საერთოდ, სწორედ მსჯელობდა. მაინც ვერაფრით ვერ გაუმკლავდა მოზღვავებულ ზიზღს. იგი ვერ იტანდა სიცრუესა და მლიქვნელობას. ამათ კი როგორ გაასუ-



ოქროს ჭაბური



ლელეს, აიძულეს მოესმინა ეს საშინელი, თავხედური, ურცხვი თვითკმაყოფილებით სავსე საქებარი ოდა, რომელსაც ეს წყვილი სხვადასხვა ხმაზე ღიღინებს. ასე როგორ შეცდა! „ოჰ, ძვირფასო, ოჰ, ძვირფასო“—საბრალო კომედიანტები! რაღა თქმა უნდა, დარწმუნებული ბრძანდებიან, ელისი ყურებდაცქვეტილი უსმენს და ყველაფერი სჯერა. ვერ მიართვეს. იმედიც ნუ ექნებათ, რომ ერთ სიტყვას მაინც დაწერს. ნარკვევს რომ არ წარადგენს, რა თქმა უნდა, უსიამოვნება შეხვდება, მაგრამ ჯობია უსიამოვნება შეხვდეს, ვიდრე ამ თავზე შეყვარებულ ხალხზე რამე დაწეროს. როგორ შეცდა! არა, არა, საკმარისია!

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ხიუგო-პირუტყვი კაცად იქცა, — სთქვა მშრალად. — გმადლობთ ინტერვიუსათვის. — სავარძლიდან წამოდგა. სველ ტუფლებს იატაკზე ორი პაწია გუბე დაეყენებინა. ელისი გაწითლდა, მაგრამ მაშინვე გაჯავრებით გაიფიქრა. „ახია მაგათზე, ეგრე მოუხდებათ!“

— რატომ მიბრძანდებით? — დაბნეულად ჩაილაპარაკა ქალბატონმა ოსტინმა.

— ნახვამდის,—კატეგორიულად მოუჭრა ელისმა. პროფესორმა ხელები გაშალა, წამოდგა და კარებისაკენ გაჰყვა. დერეფანში ელისი აღარ მორიდებია გაფენილ სურათებს. აშკარად განგებ, ედებოდა ზედ თავით. პროფესორი უკან მიჰყვებოდა და გადაბრეცილ სურათებს ფაქიზად ასწორებდა. ვიდრე კარებამდე მივიდოდნენ, პროფესორმა დაუძახა:

— ო ბრაიენ!

— დიახ, — ცივი კილოთი უპასუხა ელისმა. შეჩერდა მაგრამ თავი არ მოუბრუნებია.

— სხვათაშორის, თუ გინდოდათ, პროფესორი ჯერალდ ოსტინი გენახათ, ცოტა ხანს კიდევ დაგეცადათ, საბაზანოში სურათებს ამჟღავნებს.

ელისი სწრაფად შემობრუნდა და გაოცებისაგან წამწამები ზევით აუფრინდა.

— თქვენ? თქვენ არა ხართ პროფესორი?

— მეც პროფესორი გახლავართ. მაგრამ მე გეილი მქვია. ჩამოვედი, რომ პროფესორ ოსტინისათვის იუბილე მომელოცა.

— ესე იგი,—წყნარად ჩაილაპარაკა ელისმა.— მე შევცდი, თქვენ საკუთარ თავზე არ მელაპარაკებოდით?

— არა, რატომ? საკუთარ თავზეც მოგახსენეთ, — რბილად გაიღიმა, — ხიუგო-პირუტყვი მე გახლავართ. ფაფარი და წვერი გვიან მოვუშვი, როცა პროფესორი ხიუგო-გეილი გავხდი, მინდოდა ბატონ ჯერალდს დავმსგავსებოდი.

ელისს ჯერ კიდევ არა სჯეროდა, მღელვარება და უზარმაზარი ნათელი გრძნობა ახრჩობდა, რომელსაც მადლიერება და გამართლებული ნდობის სიხარული შერწყმოდა.

— კი მაგრამ, რატომ... რატომ მაშინვე არ მითხარით?

პროფესორმა გაიცინა:

— თქვენ გინდოდათ დაგეწერათ პროფესორ ოსტინზე, როგორც ადამიანზე, თანაც ის, რაც ჯერ არავინ იცის. ჩემგან თქვენ ინტერვიუს არ მიიღებდით, პროფესორი ოსტინი კი ამას თვითონ არასოდეს არ მოგიყვებოდათ.

ქეთევან ხახუტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამი, რას მეტყვი, აკვანი მუხისა სჯობია თუ თუთის ხისა?

— მუხა კარგია, შვილო, მუხა დინჯია, მძიმეა, დიდხანს ინახავს თავსა. მუხის აკვანს, შვილო, საამო ხმა აქვს, თითქოს მღერისო, ფერიც კარგი აქვს.

— მემრე და... მუხა რომ ძალიან მძიმეა... დედაკაცს ხელები ჩამოწყდება მისი რწევით.

ბერიკაცი დინჯად შეტრიალდა და ღიმილი დამალა.

— ე, ჯერ თურმე ბალღი ყოფილხარ, ადრე დამიქორწინებიხარ, შვილო, ადრე. რაო, დედაკაცს ხელები დაეღლებაო. შენ ე მაგის ჯავრი ნუ გექნება. საგოგავები კარგად დაუყენე, კარგად გამოთალე და თითს გაკკრავს თუ არა, მარჯვეა, კარგა ხანს იცის წანწარი. აკი გითხარი, მუხა დინჯი ხეა მეთქი. თუთის ხე მსუბუქია, თავქარიანია და ადვილად იცის გადაყირავება. ხმაც უხეირო აქვს.

— მამი, მუხა მძიმეა, მძიმე, ხელები დაეღლება მართას, ცოდოა, — ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა ახლადჯვარდაწერილი დათა.

ყორეზე ჩამრმჯდარ პატარძალს კი პირს ღიმი ეფინა და ნიშნის მოგებით ჩუმჩუმად გადახედავდა ხოლმე ეზოში მოფუსფუსე გიგიტაანთ პატარძლებს:

„ხელები დაეღლება მართასაო,.. აჰა, ესეც აგრე“! — გულგახარებული უთქმელად იმეორებდა და თან მოსიყვარულე ქმარს თვალებში შესციცინებდა.

არც რძლები აკლებდნენ სათქმელს. ისინიც, ვითომ ხუმრობით, ეშმაკურად უკრავდნენ სიტყვებს:

— პატარძალო, ახალი ცოცხი კარგად ჰგვის...

პატარძალი კი სიხარულით კარგა ხანს კრეჭავდა დაფაწტულ ნაფოტა კბილებს.

დედამთილი ჩუმად ითვლიდა: ესეც ქრისტესშობისთვე, დიდმარხვაც მალე ჩათავდება და მარიამობამდე კი...

დათას ხელით გამოჩორკნილი მუხის აკვანი ჩარდახში კარგა ხანს უცდიდა პატრონს.

მამა ვაჟიშვილს ელოდა — გვარს გამიგრძელებსო.

დედას კი გოგო უნდოდა — ქალს გული და ხელი დედისკენ ექნებაო.

დათას წადილი არ შეუსრულდა და გაჯავრებულმა აკვანში ჩაკრულ ნამცეცას გულზარი დაარქვა.

ამ უცხვირპირო ბალღმა მამას ვერაფერი დაახსომა. ერთი თვის იყო, სოფლის შარაგზას ზურგჩანთამოკიდებული მამა რომ დაადგა.

მართას მხოლოდ ერთი წერილი მოუვიდა ფრონტიდან. ერთხელ მოასწრეს ერთმანეთის მოკითხვა და სიტყვის გათამაშება.

„ჩემო ცოლო, მართაო, ნეტავ როგორ ხართაო“...

მართას წერილის შესავალი რაკი ერთხელ წამოსცდა მეზობლებში, მერე, ნუღარ იკითხავთ, ქვემოურმა ნიავმა ზემოურს როგორ დაურბინა (შილდელები ამისთანეებში მარჯვეები არიან), წავიდა და წავიდა ლექსაობა, მალე მთელ სოფელს მოედო დათას გალექსილი წერილი.

კარგა ხნის შემდეგ ამბავი მოვიდა, დათა ამა და ამ ადგილს დაიღუპაო. შემდეგ კი, თითქოს ბედი ეხუმრებაო, სიცოცხლის ამბავი გაიგეს, კაცით — კაცისაგან, მავანსა და მავანს უნახავსო.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაღუპვის ამბავი მოვიდა, ამბის მომტანს დეპეშაც მოჰყვა და ისევ გლოვა და ზარი ჩადგა ოჯახში.

ეს იყო და ეს. მერე აღარც ამბის მომტანი უნახავთ და აღარც მისი მნახველი.

შემდეგ კი ლოდინმა დალია დიდთვალება ქალი. ის მარტოდ დარჩა მუხის აკვანთან.

დედამთილი ცრემლს უშლიდა: სიზმარში ვნახე ჩემი დათა, ცოცხალია. ცოცხალი კაცის გლოვა ვის გაუგონია. ამდენი დარდით, შვილო, ძუძუ გაგიშრება და ბალღს ვეღარ გაზრდიო.

ვინ მოსთვლის, დათას ბედობაზე დანთებულ სანთლებს, ვინ მოსთვლის, გიგიტაანთ დიდ ჯალაბობაში რამდენი ცრემლი დაიღვარა.

მართა კი იმ სამკუთხა ბარათს დიდხანს ატარებდა ჭრელი კაბის უბით, შემდეგ შავმა ჩითმა ქაღალდი მოაძველა, ბარათმა უბიდან გულის ბუდეში გადაინაცვლა და დათას ხელით ბატიფეხურად დაწერილი ასოები ისევ ისე ნირშეუცვლელად ინახება მართას გულში.

ამბობენ, დარდი ზოგს დაადუნებს, გულს ააყრევინებს ოჯახის საქმეზე და სხვასაც თავს მოაბეზრებს უთავბოლო ცრემლითა და წუწუნითაო...

მართამ კი დარდი და ვაგლახი თავპირზე შემოხვეულ შავ თავსაფარში

ჩამალა, ახალგაზრდა ქალს თვალებიღა უჩანდა და ამბობდა: რომ შეიძლებოდეს, ბმასაც დავიფარავდიო.

უბედურება ხალხმა და შრომამ გადაატანინა, თორემ, აბა, მარტოობაში ადამიანი მწუხარებას სად გაექცევა?

მეზობლებმა ჯერ კოლმეურნეობის საბავშვო ბაღში გაიტყუეს — ახალგაზრდა დედაა, სხვის ბალღებსაც კარგად მოუვლის და თანაც გულიდან ჯავრს გადაიყრისო. შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ აღმრიცხველად ამუშავა, ახლა კი კარგა ხანია, თითქმის მეთოთხმეტე წელიწადია, მართა შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მოანგარიშედ მუშაობს.

იქნებ იფიქროთ, მართა მინდორს ემალება და სხვისი მარჯვენის წუნმდებელი და სხვისი ნაშრომის მოანგარიშეაო. დათას ქვრივი არც თოხს დაემალება და არც ნიჩაბს. ყანაც მოუმკია და ვენახიც შეუწამლია. მარტოხელა ქალია და, აბა, სხვას ხომ არ დაუწყებს ხელებში ცქერას.

ახლა კი, რაც სიმინდმა ეგრე დიდად გაითქვა სახელი, ვაჟკაცებს არ ჩამორჩენია, ხან ხშირ მუხებში მოიზომავს სასიმინდე ნაკვეთს და ხან ფაშაანში. იმდენს შეეჩიდება, რამდენსაც მოერევა, მოიზომავს და მერე გაგიხარიათ, გულის ჯავრს ნაკვეთზე იყრის — ბალღი გასაზრდელი მყავს და უმამობა არ უნდა ვაგრძნობინოო.

ეს ყოჩაღი დედაკაცი ყოველწლიურად გეგმას გადაჭარბებით ასრულებს, გასულ წელს ნახევარ ჰექტარზე ჩვიდმეტი ცენტნერის ნაცვლად სამოცდათექვსმეტი ცენტნერი სიმინდი მოიყვანა (ე. ი. ჰექტარზე ასორმოცდათორმეტი ცენტნერი), პრემიაც ბლომად მიიღო — სამი ტონა სიმინდი.

იქნებ ამიტომაც შეუტრიალეს ლექსი ქვემოუბნელმა გოგო-ბიჭებმა, ხშირად რომ მიაძახებენ ხოლმე:

— გიგიტაშვილი მართაო, წელში გაიმართაო.

არ გეგონოთ ქვრივია და ძუნწი იქნებაო. მათ ოჯახს მამაპაპიდან მოსდგამს პურმარილის სიყვარული. მართას დედა, კოკილაანთ ქალი ნინო, ერთი ზორბა, ფაშფაშა დედაკაცია. ვინ არ იცნობს მის პურღვინოს! გადამთიელმა რომ ჩაუაროს იმის ეზოს, იმასაც კი ხონჩაზე დაწყობილი შოთებითა და სველი ხელადით გამოეგებება: დაგვლოცე და დალიეო.

— მართასაც სწორედ დედის გულხელგაშლილობა გამოჰყვა. საქმისათვის რომ შევძახოთ, მაშინვე ქათამს გამოეკიდება დასაჭერადაო, — ამბობენ ხოლმე, მეზობლები.

სოფელში მართას ჯერ ღუალას ქალს ეძახდნენ, მერე გიგიტაშვილების პატარძალს, ახლა კი ყაზარაანთ ქვრივს ეძახიან.

ჰო და, ეს მუშტივით შეკრული, ტყვიასავით ჩასხმული პატარა დედაკაცი სოფლის მისასვლელში, დიდი შარაგზის პირას ცხოვრობს. როგორც კი მამალი საგათენებო ყივილს მოუხშირებს, ლოგინში ვერ ჩერდება, კვერეს თავივით დაბზრიალდება, ჯერ შარაზე ჩამოვლილ ზემო უბნის ნახირს ჩააცილებს და მერე სასუქს წამოუვლის, წამოჰკრეფს, ეზოში შეიტანს, შეაგროვებს და დააძველებს. თან ხმამაღლა იცის ფიქრი: აბა, უამისოდ ჩემი სიმინდი წყვილ-წყვილ ტაროს როგორ დაიყრისო.

მართას ოჯახში ყველაზე დიდი, ფასდაუდებელი დოვლათი მისი ობოლი გოგოა. დედის გული, აბა, როგორ მოისვენებს! ჯერ იყო და შილდის საშუალო სკოლა დაამთავრებინა, მერე თბილისში წაიყვანა სასწავლებლად. წაიყვანა და უკან აღარ წამოიყვანა, იქვე მუშაობს.

მართა პრემიით მიღებული სიმინდის საფასურს, ვინ იცის, მერამდენედ ანაწილებს — ოჯახს რამდენი რამ სჭირდება... ყველაზე მეტი კი მაინც გულზარს ხვდება.

„საპატარძლო ქალიშვილი მყავს, უმამობა არ უნდა ვაგრძნობინო, ამის ბედნიერებით მაინც გაიხაროს გულმა და ჩემი რაღა სახსენებელია, ჩემისთანა მწარე პატარძლობა მტერსაც ნუ შეახვედროსო“, და ნაღვლიანად შეხედავს ხოლმე კედელზე ჩამოკიდებულ დათას სურათს, მერე იქვე, ტახტის თავში მდგარი მუხის აკვანი წაართმევს მზერას, ჩააფიქრებს, დიდ თვალებში ცრემლი კენჭივით აუგორდება, ძირს არ ჩამოუშვებს, ისევე გადაყლაპავს უთქმელად.

და თითქოს გუშინ თუ გუშინწინ მოხდაო... გაიხსენებს:

— მუხის აკვანი კარგია, შვილო, მუხა დინჯია, მძიმეა, დიდხანს ინახავს თავსა. მუხის აკვანს საამო ხმა აქვს, თითქოს მღერის, ფერიც კარგი აქვს...

დათა კი ბალღივით თავისას გაიძახის:

— მამი, მუხა მძიმეა, მძიმე, ხელები დაეღლება მართასა.

მართა ნაღვლიანად დახედავს თოხისაგან დაკოჟრებულ ხელებს და ხმამაღლა ჩაილაპარაკებს:

— ცოდოა, მართა, ცოდო...

პაუკვეპისაგან

მხიარული წარმოდგენა

(ნაწყვეტი პოემიდან)

ბაკი-ბუკი, პაკი-პუკი,
ცეკვავს ციყვი და შვლის ნუკრი.
თეატრი გვაქვს სანაქებო,
წინა რიგში დავსვით ბებო...
მოდის ჯიხვი პაკი-პუკით,
იქვე გოჭი წევს და უკვირს:
მურიკელა რატომ არ ყეფს,
დაავიწყდა, ნეტავ, როლი?
დათუნია ყალიონს წევს, —
თვალებს უწვავს მწარე ბოლი.

* * *

ბაკი-ბუკი, პაკი-პუკი,
ცეკვავს ციყვი და შვლის ნუკრი,
მელიები ჭიდაობენ,
იცინიან ბოჩოლები.
ახლოს მოდით, პატარებო,
რად დამდგარხართ მოშორებით,
ნახეთ ჩვენი წარმოდგენა,
მალაყი და ილეთები.
სალაროსთან ყვირის ბატი:
—„შეიძინეთ ბილეთები“.
ჰა, გაიხსნა სცენის ფარდა...
სკუპ, წრუწუნას მისდევს კატა.
წრე შეუკრავს ციყვებს, კურდღლებს
და თამაში გაუმართავთ.
მირბის თაგვი, მისდევს კატა.
თამაშია სახალისო.
ჰა, დაიჭი, ჰა, დაიჭი! —
ამხნევებენ წრეში ფისოს.
ახტა ფისო, თაგუნიას
სულის მოთქმაც არ აცალა,
დაეწია, კლანჭი მოსდო,
თავიც წამსვე წააცალა.
კბილი გაჰკრა, გადასანსლა,
პირი ჩაიგემრიელა.
—ეს რა ჰქენი, შე მსუნაგო!
მიესია ფისოს ყველა.
ფისომ თავი გაიმართლა:
მეგობრებო, გთხოვთ ნუ მიწყენთ,
რა ვქნა, ჩვევა ასეთი მაქვს,
ვერც თამაშში დავივიწყე.
მაპატიეთ... დამნაშავეს
შეეპარა ცრემლიც ხმაში:
—სხვა წრუწუნა მომიყვანეთ,
ძლიერ მომწონს ეგ თამაშში.

ტარიელ ხავთასი

ღის აკვანთან

აღუ, აღუ მაიკო,
სტირი თითქოს სხვა ვიყო.
ვერ მიცანი? კატო ვარ,
დედამ შენთან დამტოვა.
ჰა, გისწორებ არტახებს,
საწოვარაც აქ არი.
რათ გახველებს გეთაყვა,
შენს პირს რძე და შაქარი.
მაინც ტირი მაიკო?
მითხარ, აბა, რა გიყო?
აკვანს გირწევ, არ გინდა?
ნანას გიმღერ, არ გინდა?
მაშ, მომხვიე ხელები,
ამოგიყვან აკვნიდან.

ეთერ ჯღამაძე

სახლის წინ ზის ბებია,
მზისგულს მიფიცხებია.
ატრიალებს თითისტარს
და საწინდეს ართავს,
პაწაწინა ივლიტას
თან უყვება ზღაპარს.
სახლის წინ ზის ბებია,
უკვე მიძინებია;
მის მაგივრად ივლიტა
ატრიალებს თითისტარს,
თითქოს კიდეც ართავს;
გაიღვიძებს ბებია,
გაუგრძელებს ზღაპარს.

ნოდარ შამანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრა-კერვის ლაბორატორიული სავარჯიშო

გრძელი სახელო

თარგის შედგენა — (ნახ. № 1)

გრძელი სახელოს თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 48 სმ
2. მაჯის წრეხაზის ნახევარი — 13 სმ
3. სახელოს სიგრძე — 59 სმ

ა — წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ გულმკერდის წრეხაზის ზომას 48 სმ. წერტილ ა და წერტილ 48-დან ჩამოვზომავთ სახელოს მთლიან სიგრძეს 59 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს.

ოთხკუთხედის სიგანეს ე. ი. 48-ს მუდმივად ვყოფთ 3-ზე:

48:3=16

მიღებულ რიცხვს 16 ჩამოვზომავთ ა და 48 წერტილებიდან. 16—წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. სახელოს წინა და უკანა მხარის დასადგენად ჩარჩოს სიგანეს ე. ი. 48-ს გავყოფთ მუდმივად ორზე:

48:2=24

მიღებულ 24-ს გადავზომავთ ა და 59-ის წერტილებიდან მარჯვნივ, 24-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან და აღვნიშნავთ შუა წერტილს. 24 ვყოფთ სამზე:

24 : 3=8

მიღებულ 8-ს გადავზომავთ 24-ის წერტილიდან, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, ასევე ა-წერტილიდან მარჯვნივ და 48 წერტილიდან მარცხნივ. 8-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

სახელოს უკანა, მხარისათვის ზედა 8-ის წერტილიდან ჩამოვზომავთ 3 სმ, ქვედა 8-ის წერტილიდან ზევით ავზომავთ 4 სმ. სახელოს წინა მხარისათვის ზედა 8-ის წერტილიდან ჩამოვზომავთ 3 სმ, ქვედა რვის წერტილიდან ზევით ავზომავთ 2 სმ. წერტილებს (4, 3, 2, 3,) ვაერთებთ 24 და 16-ის წერტილებთან მრუდი ხაზით.

გამოყვანილი სახელოსათვის ქვედა 24-ის წერტილიდან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ გადავზომავთ 13-13 სმ. 13-ის წერტილებს ვაერთებთ 16-ის წერტილებთან სახაზავით.



ნახ № 1

[გრძელი სახელოს გამოჭრისა და შეკერვის წესი

გრძელი სახელოს გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის 1,-1,5 სმ. და ვჭრით. გაუჭრელი ხაზი არა აქვს, იჭრება გარშემო. იკერება იმავე წესით, როგორც ის ნაკეთობანი, რომელზეც სახელოს ვაკერებთ.

გრძელსახელოიანი ლიფი „კიმანო„ (იაპონკა)

თარგის შედგენა (ნახ. № 2.)

გრძელსახელოიანი ლიფი „კიმანოს" თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. კისრის წრეხაზის ნახევარი — 18 სმ
2. ბეჭების სიგანის ნახევარი — 19,5 სმ
3. გულის სიგანის ნახევარი — 18 სმ
4. ზურგის სიგრძე — 42 სმ
5. სახელოს სიგრძე — 57 სმ

ლიფი „კიმანოს" (იაპონკა) უკანა ნახევრის თარგის შესადგენად ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ ბეჭების სიგანის ნახევარს 19,5 სმ. სიგრძისათვის ზურგის სიგრძეს მუდმივად ვუმატებთ 2 სმ:

42+2=44

მიღებულ რიცხვს 44-ს ჩამოვზომავთ ა-წერტილიდან ქვევით. ჩარჩოს სიგრძეს 44-ს მუდმივად ვყოფთ ორზე:

44 : 2=22

მიღებულ რიცხვს 22-ს ჩამოვზომავთ ა-წერტილიდან ქვევით და ვავლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს. კისრის წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ 3-ზე:

18 : 3=6

მიღებულ რიცხვს 6-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ 6-დან ზევით ავზომავთ 4 სმ. 4-ის წერტილს ვაერთებთ ა-წერტილთან მრუდი ხაზით.

მხრისა და იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ ზედა 19,5-დან ჩამოვზომავთ 3 სმ, ქვედა 19,5-დან მარჯვნივ გადავზომავთ 5 სმ, წერტილ 5-დან ქვევით ჩამოვზომავთ 4 სმ, წერტილებს ქვედა 19,5-ს ვაერთებთ წერტილ 4-თან მრუდი ხაზით.

გვერდის გამოსაყვანად წერტილ 24,5-დან მარცხნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-ის წერტილს ვაერთებთ 4-ის წერტილთან სახაზავით.







ნახ. N 2



ნახ N 2 ა



ნახ N 2 ბ

წერტილ 4-დან გადავზომავთ სახელოს სიგრძეს 57 სმ. წერტილ 57-დან ჩამოვზომავთ სახელოს სიგანეს 14 სმ. 14 წერტილს ვაერთებთ 4 წერტილთან სახაზივთ.

ლიფი „ჯიმანოს" (იაპონკას) წინა მხარის თარგის შესადგენად ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ გულის სიგანის ნახევარს — 18 სმ. ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ 44 სმ. ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ 22 სმ და ვავლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს. წერტილ ა-დან მარჯვნივ გადავზომავთ და ჩამოვზომავთ 6 სმ, წერტილ მარჯვენა 6-დან ზევით ავზომავთ 4 სმ. წერტილებს 6, 4-ს ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. მხრისა და იღლიის. ხაზის გამოსაყვანად ზედა 18-დან ჩამოვზომავთ 2 სმ, ქვედა 18-დან მარჯვნივ გადავზომავთ 5 სმ. წერტილ 5-დან ქვევით ჩამოვზომავთ 4 სმ. წერტილ 18-ს ვაერთებთ წერტილ 4-თან მრუდი ხაზით. გვერდის გაძოსაყვანად წერტილ 23-დან მარცხნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-ის წერტილს ვაერთებთ 4-ის წერტილთან სახაზავით. წერტილ 4-დან გადავზომავთ სახელოს სიგრძეს — 57 სმ. წერტილ 57-დან სახელოს სიგანისათვის ჩამოვზომავთ 14 სმ. 4-ის წერტილს ვაერთებთ 4-ის წერტილთან სახაზავით. საყელოსათვის წერტილ 4-დან ზევით ავზომავთ 8 სმ. წერტილ 8-დან მარცხნივ გადავზომავთ 7 სმ. წერტილ ა-დან მარცხნივ გადავზომავთ 8 სმ. წერტილ ქვედა 6-დან ქვევით ჩამოვზომავთ 10 სმ, წერტილ 10-დან მარჯვნივ გადავზომავთ 2 სმ. წერტილებს 10-ს ვაერთებთ 2-თან, 2-ს ვაერთებთ 8-სთან, 8-ის წერტილებს ვაერთებთ 7-თან, ხოლო 7-ის წერტილს ვაერთებთ 8-სთან.

ლიფის წინა მხარის სიგრძისათვის წერტილ 44-დან ჩამოვზომავთ მუდმივად 2 სმ. 2-ის წერტილს ვაერთებთ 23-ის წერტილთან სახაზავით. ჩანაკერისათვის „ვიტოჩკისათვის" წერტილ 2-დან მარჯვნივ გადავზომავთ 8 სმ. წერტილ 8-დან ზევით ავზომავთ 10 სმ, წერტილ 8-დან როგორც მარ-





ნახ N 2

ჯვნივ, ისე მარცხნივ გადავზომავთ 2—2 სმ. 2-ის წერტილებს ვაერთებთ 10-ის წერტილთან სახაზავით.

იღლიის ჩასაყენებელის თარგის შესადგენად ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ მუდმივად 14 სმ-ს. 14-ს ვყოფთ ორზე:

$$14 : 2 = 7$$

აღვნიშნავთ 7-ით შუა წერტილს. წერტილ 1-დან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ გადავზომავთ 4=4 სმ. 4-ის წერტილებს ვაერთებთ ა-და 4-ის წერტილებთან სახაზავით.

გრძელსახელოიანი ლიფის „კიმანოს" გამოჭრისა და შეკერვის წესი

თითქმის ყველა სახის ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი ტარების დროს მოკლდება ან ვიწრდება. განსაკუთრებით მალე ფუჭდება ბამბის და ელის ქსოვილების ტანსაცმელი. ამის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებულია ქსოვილების წინასწარი დეკატირება, ე. ი. მათი დასველება ან სველ ტილოში გახვევით უკუღმა პირიდან დაუთოვება. ვიდრე ქსოვილს გამოვჭრიდეთ, საჭიროა მივაქციოთ ყურადღება მის განს. მაგალითად, ლიფი „კიმანოს" გამოჭრის დროს საჭიროა ქსოვილის ორად გაკეცვა, დეტალები რომ ერთნაირად გამოიჭრას. წყვილი დეტალის (წინა და უკანა მხარის სახელო, საყელო, ზურგი მთლიანი ან შუაზე გაჭრილი, წინა კალთები, სამაჯურები და სხვა). გამოჭრის დროს გამოიყენეთ წინასწარ დამზადებული თარგები, რომლებიც განლაგებულია ქსოვილის ზედაპირზე. ქსოვილის ზედაპირზე თარგის განლაგებისას დაიცავით გარკვეული წესი და ქსოვილი გამოჭერით ზოგი განის, ზოგი სიგრძის მიხედვით. კოკეტკისა და საყელოს ქვეშ დასადების გარდა დეტალები იჭრება სიგრძეზე. ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე ქსოვილის სახეს. თუ ის ყვავილებითაა დაჩითული ისე უნდა დავჭრათ, რომ ყვავილის თავები ზევით იყოს. სახელოს გამოჭრისას კი კარგი პირი შიგნით და ზევით თარგს ქინძისთავებით დაამაგრეთ, ჩანაკერისთვის მიამატეთ 1 ან 2 სმ. კოფთის შეკერვისას ჯერ გაამზადეთ ჭრილები, მერე ნაკეცები და „ბანტოკები" თუ ამას ფასონი მოითხოვს. შემდეგ გადააკერეთ მხრები, ჩაუკერეთ გვერდები და მიაკერეთ საყელოს და სახელოებს. საბოლოოდ ვუკეცავთ ბოლოს.

თუ კოფთას ცალკე ვკერავთ, ჩვენს მიერ ნახაზში ნაჩვენები გრძელსახელოიანი კოფთა „კიმანოს" გამოსაჭრელად როგორც წინა, ისე უკანა მხარისათვის ქსოვილს ორად ვკეცავთ სიგრძეზე. ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის 1-2 სმ და ვჭრით. სიგრძის ხაზი უკანა მხარის ან გაიჭრება ან ჩაიკერება 3 სმ სიღრმეზე. ხოლო წინასი იჭრება 10 სმ-მდე, 10-დან 2-ის წერტილებამდე კი გაუჭრელია. იღლიის ქვეშ ჩასაყენებელისთვის ქსოვილს ორად ვკეცავთ, ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისთვის 1 სმ და ვჭრით. გაუჭრელი ხაზი არა აქვს. პირველად უნდა დავბლანდოთ ის ადგილები, სადაც აღნიშვნაა საჭირო, მაგალითად, თუ კაბას ან კოფთას აქვს „კოკეტკა", ჭრილებთან ნაკეცები, მაშინ დავბლანდავთ მხრებს და გვერდებს და მოვამზადებთ ჩასაზომავად. ჩაზომვის დროს ყველა ნაკლი უნდა შევნიშნოთ და თავიდან ავიცილოთ. ჩაზომვა ძირითადად ტანის ნახევარზე კეთდება, კაბები, კოფთები, ხალათები ერთი შემაერთებელი ნაკერით იკერება, ხოლო თუ ისინი მარკიზეტის, შიფონის, კრეპჟორჟეტისაგან იკერება, უნდა გამოვიყენოთ შიდა ნაკერი.

ნაკეთობის ბოლო უმდა შემოვასწოროთ სახაზავისა და ცარცის საშუალებით და შემოვუკეცოთ 4,5 სმ (რაც გამოჭრის დროს გვექნება გათვალისწინებული).

ლიფი „რეგლანი"—(ნახ. 3).

ლიფი „რეგლანის" თარგის დასახაზავად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 48 სმ
2. კისრის წრეხაზის ნახევარი — 18 სმ
3. ბეჭების სიგანის ნახევარი — 19 სმ
4. გულის სიგანის ნახევარი — 18,5 სმ
5. მხრის სიგრძე — 16 სმ
6. ზურგის სიგრძე — 40 სმ

ლიფი „რეგლანის" თარგის შესადგენად გულმკერდის წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვუმატებთ 5-ს:

$$48 + 5 = 53$$

მიღებულ რიცხვს 53-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. სიგრძისათვის ზურგის სიგრძეს მუდმივად ვუმატებთ 2-სმ:

$$40 + 2 = 42$$

მიღებულ რიცხვს 42-ს ჩამოვზომავთ ა და 53 წერტილებიდან ქვევით და ვადგენთ ოთხკუთხედს. ჩარჩოს სიგრძეს 42-ს მუდმივად ვყოფთ ორზე:

42 : 2 = 21.

მიღებულ 21-ს ჩამოვზომავთ ა-და 53-ის წერტილებიდან ქვევით და ვაკლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს. ლიფის უკანა ნახევრის თარგის შესადგენად ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ ბეჭების სიგანის ნახევარს 19 სმ. საყელოს ხაზის ამოსაჭრელად კისრის წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ სამზე:

18 : 3 = 6

მიღებულ 6-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ, ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ მუდმივად 2 სმ. წერტილებს 2-ს და 6-ს ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. მხრისა და იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ ზედა 19-დან ჩამოვზომავთ 4-სმ, წერტილ ქვედა 19-დან ზევით ავზომავთ 4 სმ და მარჯვნივ გადავზომავთ 4 სმ. 4-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. გვერდის გამოსაყვანად წერტილ 23-დან მარცხნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-ის წერტილს ვაერთებთ 4-ის წერტილთან სახაზავით. ამით ჩვენ ვადგენთ ნახაზს ჩვეულებრივი ლიფისას. იმისათვის, რომ ლიფს მივცეთ „რეგლანის" ლიფის ფორმა, წერტილ 2-დან გადავზომავთ 3 სმ, წერტილ 4-დან ჩამოვზომავთ 2 სმ, 3-ის წერტილს შევაერთებთ 2-ის წერტილთან მრუდი ხაზით.

ლიფი იაპონკის წინა ნახევრის თარგის შესადგენად წერტილ 53-დან მარცხნივ გადავზომავთ 18,5 სმ. საყელოს ხაზის ამოსაჭრელად წერტილ 53-დან ქვევით ჩამოვზომავთ 6 სმ და მარცხნივ გადავზომავთ 6 სმ. წერტილ 6-დან ზევით ავზომავთ2 სმ, წერტილებს (6, 2, 6) ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. მხრისა და იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ ზედა 18,5 დან ჩამოვზომავთ 2 სმ, წერტილ ქვედა 18,5-დან ზევით ავზომავთ 5 სმ და მარჯვნივ გადავზომავთ 3 სმ. წერტილებს 2,3 ვაერთებთ 16 და 4-თან მრუდი ხაზით. გვერდის გამოსაყვანად 23-ის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-ის წერტილს ვაერთებთ 4-ის წერტილთან სახაზავით. იმისათვის, რომ ამ ჩვულებრივ ლიფს მივცეთ „რეგლანის" ფორმა, წერტილ 2-დან ჩამოვზომავთ 3 სმ, წერტილ 4-დან ჩამოვზომავთ 2 სმ. 2-ის წერტილს ვაერთებთ 3-ის წერტილთან მრუდი ხაზით.

სახელო „რეგლანი"

თარგის შედგენა — (ნახ; 3 ა)

სახელო „რეგლანის" თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. იღლიის წრეხაზი — 40 სმ
2. მაჯის წრეხაზის ნახევარი — 13 სმ
3. სიგრძე მხრის — 14 სმ
4. სიგრძე სახელოსი — 59 სმ

ვხაზავთ სახელოს გაშლილად, ამისათვის ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ იღლიის წრეხაზის მთლიან ზომას 40 სმ. წერტილ ა-და წერტილ 40-დან ჩამოვზომავთ სახელოს სიგრძეს 59 სმ და ვადგენთ ოთხკუთხედს. იღლიის წრეხაზის ანაზომს 40-ს ვყოფთ მუდმივად 2-ზე:

40 : 2 = 20

მიღებულ 20-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ და აღვნიშნავთ შუა წერტილს. იღლიის წრეხაზის ზომას 40-ს ვყოფთ სამზე:

40 : 3 = 13,5

მიღებულ 13,5-ს ჩამოვზომავთ ა-და 40-ის წერტილებიდან ქვევით. 13,5-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. წერტილ 20-დან ზევით ავზომავთ მხრის სიგრძეს — 14 სმ. 14-ს ვყოფთ ორზე:

14 : 2 = 7

მიღებულ 7-ს გადავზომავთ 14-ის წერტილიდან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ. წერტილ 13,5-ის წერტილებიდან ზევით ავზომავთ 3 სმ. 3-ის წერტილებს ვაერთებთ 7-ის წერტილთან მრუდი ხაზებით.

მაჯის წრეხაზის ნახევარს — 13—სმ გადავზომავთ ქვედა 20-ის წერტილიდან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ. 13-ის წერტილებს ვაერთებთ 3-ის წერტილებთან სახაზავით.

სახელოს ჩანაკერისთვის (ვიტოჩკისთვის) 14-ის წერტილიდან როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ გადავზომავთ 3-3 სმ. სამის წერტილებს ვაერთებთ 20-ის წერტილთან სახაზავით. სახელოს წინა მხარისათვის 7-ის წერტილიდან ქვევით ჩამოვზომავთ 1 სმ, ხოლო უკანა მხარისათვის წერტილ 7-დან ზევით ავზომავთ 1 სმ. 1-ის წერტილებს ვაერთებთ 3-ის წერტილთან სახაზავით.

ლიფი „რეგლანის" გამოჭრისა და შეკერვის წესი

ლიფის, როგორც წინა ისე უკანა მხრის გამოსაჭრელად ქსოვილს გაკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სმ-ს, საყელოსა და იღლიის ადგილებში — 1,5 სმ. ვკერავთ სიგრძის ხაზი უკანასი წერტილ 2-დან 42-მდე და წინა მხარის წერტილ 6-დან 2-მდე გაუჭრელია კაბის ან კოფთის წინა და უკანა მხრები აიჭრება. აჭრილ მხრებს მივამაგრებთ სახელოს თავს. საყურადღებოა, რომ წინა მხარი მივაკეროთ სახელოს თავის წინა მხარეს, ხოლო უკანა მხარე — სახელოს თავის უკანა მხარეს, რომელიც ზურგისკენ გადადის. რომ განვასხვავოთ სახელოს წინა და უკანა მხარე, საჭიროა წინა მხარე უკანასთან შედარებით უფრო ღრმად ამოიჭრას. კერვის წესი იგივეა, რაც წინა ნახაზშია აღნიშნული.

ავტორი ტ. გურგენიძე,
კონსულტანტი ივ ტაბიძე.

ნახ N 3 ა



ნახ N 3 ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ



თამარ მუხაძე (მარცხნივ) ახალგაზრდა სპეციალისტებთან

ბევრი ბანვისა და წამლებისაგან ხელები გა უხეშებული და გამუხებული აქვს. არასოდეს მოსვლია აზრად მათი მოვლა და ნელსაცხებლით დაზელვა. ეს ხელები მუდამ სხვის ტკივილებს აყუჩებდა; ფრთხილად დაცურავდა ჭირისოფლით დანამულ შუბლზე; ფაქიზად ახვევდა ჭრილობას, ადებდა მალამოს, მისი თითები კი, გაწვრთნილი პიანისტის თითებივით თავისთავად ხვდებოდა საჭირო მოძრაობას, როცა ოპერაციის დროს თეთრი ნიღბის ზემოდან ქირურგის გაფართოვებული თვალები ხედვის ობიექტს იცვლიდა; მწყობრად მიჰყვებოდა თითები უხმო სიგნალს.

თამარ მიხეილის ასული მუხაძე. ეს გვარი ბევრს ეუბნება მკითხველს; თამარი ცნობილი ქართველი დასტაქრის გრიგოლ მუხაძის და გახლავთ.

გრიგოლ მუხაძის სახელი ღირსეულად ამშვენებს იმ დიდ მამულიშვილთა რიგებს, რომელთა ხვედრიც უკვდავებაა. გრძელ და შრომით სავსე გზაზე გრიგოლ მუხაძეს განუყრელად ედგა გვერდში თავისი საყვარელი და თამარი.

1911 წელს დაბრუნდა გრიგოლი ტომსკიდან ექიმის დიპლომით. ჭიათურაში გაანაწილეს.

— წამოხვალ, თამრი, ჩემთან? — უთხრა დას, რომელიც დიდიხნის უნახავ ძმას ფეხდაფეხ დასდევდა. თამარმა პასუხად გაიღიმა მხოლოდ და მხრები აიჩეჩა: რა საკითხავიაო.

ჭიათურაში უცბად გავარდა და-ძმა მუხაძეების სახელი. თამარი დღე და ღამე ფეხზე იყო, არავინ იცოდა, როდის გახდებოდა იგი საჭირო. ᲮᲔ შუაღამეზე ფანრით ხელში, წვიმაში და თქეშში მიიკვლევდა გზას მძიმე მშობიარისაკენ, ხან გულამოვარდნილი უბედური შემთხვევის ადგილისაკენ მირბოდა, ხან კი ავადმყოფის საწოლთან ებრძოდა მორეულ თვლემას.

სამი წლის შემდეგ დაბრუნდა და-ძმა თბილისში და მიხეილის საავადმყოფოში დაიწყეს მუშაობა. დღითიდღე იზრდებოდა გრიგოლის პოპულარობა, მის ოპერაციებზე ზღაპარივით ყვებოდნენ. მაშინ ალბათ ბევრმა არ იცოდა, რომ ამ ვირტუოზულობის ერთერთი მჭიდრო რგოლი თამარი იყო. როცა ავადმყოფი რწმუნდებოდა, რომ ოპერაციას მუხაძე უკეთებდა, იმედის შუქი უმსუბუქებდა ტანჯვას. თავის მხრივ კი გრიგოლი მხნედ და გაბედულად გრძნობდა თავს, როცა ოპერაციის დროს გვერდით დის თანაბარი, მშვიდი სუნთქვა ესმოდა და მისი პაწია, თეთრი თითები ბრჭყვიალა ინსტრუმენტებზე დაცურავდა.

თამარი მეცხრე-უმცროსი შვილია. ბედნიერიაო, იტყვიან უმცროს შვილზე, და-ძმებისა და მშობლების სიყვარულით გარემოსილი. თამარი არ იზიარებს ამ შეხედულებას. ყველაზე ბევრის გადატანა მას — უმცროსს მოუხდა. ახლა თამარი მარტოა ცხრათაგან დარჩენილი. მაგრამ მშველელად ისევ საყვარელი საქმე მოდის. გრიგოლის სიკვდილის შემდეგ თამარს ოპერაციისათვის ხელი აღარ დაუბანია, საოპერაციო დის ფუნქციები ახალგაზრდებს გადააბარა. თამარი საოპერაციო განყოფილების უფროს ექთნად დანიშნეს. ამ გულმართალმა, მჭიდრო კოლექტივმა შეავსო თამარის ცხოვრება.

ვინ იცის თამარის მიერ გამოზრდილი რამდენი ექთანი მუშაობს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში და მუდამ თბილი ღიმილით იგონებენ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს.

თამარს თავს დასტრიალებენ საყვარელი დისწულ-ძმისწულებიც, სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებენ თავიანთი გვარის უფროსი თაობის უკანასკნელ წარმომადგენელს.

მალე რესპუბლიკის ცენტრალური (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს კოლექტივი აღნიშნავს სახელოვანი ექთანის მოღვაწეობის 45 წლის თარიღს.

ნანული ცაგარეიშვილი

ზღვა და ოთხი ქალიშვილი

ხომ გინახავთ ზღვა — მშვიდი, **გარინდული**. და თუ მზესაც არ ეფარება ამ დროს ღრუბელი, ცისარტყელას ყველა ფერით ლივლივებს იგი. თეთრაფრიანი ნავი გაისრიალებს მის სარკისებრ ზედაპირზე და სულ მცირე ხნით ტოვებს **უკან** აქაფებულ ზოლს. შემდეგ ისიც ჰქრება და ზღვა კვლავ მშვიდია, უწყინარი, ხელუხლებელი.

ზღვის ზედაპირზე საერთოდ არ რჩება ნაკვალევი.

ვაიდე გვარიშვილი

ნინო კალანდაძე

შუშანა თუმანიშვილი

სამაგიეროდ მისი ფსკერი ინახავს უამრავ ისტორიას. და როცა ზღვა ღელავს და ბობოქრობს, თავის კანში ვერ ეტევა და გაფოფრილი, ტალღების ქუხილით უტევს ნაპირს, ამ დროს იგი თითქოს გვიყვება იმ იდუმალ ამბებს, რომლებიც მის სიღრმეშია **დამარხული**.

ჩვენ გვინდა გიამბოთ ზღვასთან დაკავშირებული ერთი ასეთი ისტორია, ამბავი ოთხი ქალიშვილისა.

ამ ოთხ ქალიშვილთაგან ერთ-ერთი, იულია ფაილოძე, დაიბადა და გაიზარდა სოხუმთან მდებარე ზღვისპირა სოფელ აგუძერაში.

აგუძერას არ ჰქონდა ნავსაყუდარი. მის ნაპირებთან ღუზას არ უშვებდნენ საოკეანო გემები. ზოგჯერ მეთევზეთა სეინერი და მოტორიანი **ნავი** ჩაივლიდა შორიახლო, ან სოხუმისაკენ **გეზაღებული** ხომალდი გამოჩნდებოდა ჰორიზონტზე.

და ბავშვები ერთმანეთს ედავებოდნენ:

— ტანკერია!

— არა, სატვირთოა!

— ჩვენია!

— საზღვარგარეთულია!

საღამოობით ნახევრად დანგრეულ შუქურაზე ადიოდა იულია მეგობრებთან ერთად და გასცქეროდნენ ჩამავალი მზით ალმოდებულ დასალიერს.

აგუძერელთა გოგო-ბიჭებმა კარგად იცოდნენ, რომ დედამიწაზე არის კიდევ ბევრი ზღვა და ოკეანე, სოხუმზე დიდი ნავმისადგომები, და ის თეთრი და რუხი გემები, აგუძერას რომ ჩაუვლიან მოშორებით, დადიან იმ შორეულ ქვეყნებსა და ოკეანეებში.

იმ დროს შვიდი კლასის განათლება უკვე აღარ კმაროდა, ამიტომ იულიამ შვიდი კლასი რომ დაამთავრა, მშობლებმა ბევრი იფიქრეს, გაზეთებში განცხადებები ჩაათვალიერეს, მეზობლებსა და მოკეთეებსაც მოუსმინეს და გადაწყვიტეს შვილისათვის აგრონომიული განათლება მიეცათ.

მაგრამ ამ დროს ბათუმიდან უფროსი ქალიშვილის ქმარი ლევან წილოსანი ჩამოვიდა და ასეთი ამბავი ჩამოიტანა: ბათუმის საზღვაო ტექნიკუმის დირექტორს სიმონ ალანიას შემთხვევით იულიაზე ჩამოვუგდე სიტყვა, მირჩია, ჩვენთან შემოიყვანეო.

ოჯახის უფროსებს გაკვირვება რომ შეამჩნია, დაამშვიდა: ტექნიკუმში არის ჰიდროტექნიკური განყოფილება, ნავთსადგურების მშენებლობაზე იმუშავებსო.

ხეირიანად თვითონ იულიამაც არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა „ჰიდროტექნიკური", მაგრამ ყოველივე ეს ძალზე საინტერესო უნდა ყოფილიყო და ამიტომ სიხარულით მიუწევდა გული ბათუმისაკენ.

ეს იყო 1936 წელს.

მაშინ იულია თექვსმეტი წლის იყო.

თავდაპირველად ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ მისაღებ გამოცდებზე და პირველ კურსზე თანდათან დაიფანტნენ. დარჩა ოთხი ქალიშვილი — იულია ფაილოძე, ნანო კალანდაძე, **ვაიდე გვარიშვილი** და შუშანა თუმანიშვილი. რამდენიმე დღეში დამეგობრდნენ ისინი.

ერთხელ გემთმწამყვანი განყოფილების მეოთხე კურსის მოსწავლეები ჩამოვიდნენ საზღვაო პრაქტიკიდან. მათ შორის ერთი ქალიშვილიც იყო. ამან საოცრად იმოქმედა მეგობრებზე და მეორე დღესვე მიმართეს დირექციას, გადაეყვანათ ისინი გემთმწამყვან განყოფილებაზე. პირველად **უარი** უთხრეს, **ბავშვურ გატაცებად** მიიჩნიეს მათი გადაწყვეტილება. საერთოდ, სკეპტიკურად **უყურებდნენ** ქალების მეზღვაურობას. ქალიშვილები გაჯიუტდნენ. **დირექცია ბოლოს მოტყდა** და დათმობაზე **წავიდა**.

მართალია, დირექცია დათანხმდა, მაგრამ ალბათ, უფროსები ვარაუდობდნენ, რომ პირველსავე საზღვაო პრაქტიკაზე იჩენდა თავს ქალური ბუნების სისუსტე და ისინი დაყრიდნენ ფარხმალს. მეგობრები მღელვარებით ელოდნენ პირველ **პრაქტიკას**. ოცი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი გაემგზავრა როსტოვში. ჯერ კიდევ გზაში იწვნიეს ღელვა და ზღვის ავადმყოფობა. ისინი რიგით მეზღვაურებად გაამწესეს „ვოლგა-დონზე". ქვანახშირი და ცემენტი დაჰქონდათ როსტოვსა და აზოვის ზღვის ნავთსადგურებს შორის. მძიმე იყო მეზღვაურის ცხოვრება, მაგრამ ოთხმა ქალიშვილმა შეჰფიცა ერთმანეთს, არაფერში დაეგდოთ ტოლი ვაჟებისათვის.

ორთვენახევრის შემდეგ, ოთხმა ქალიშვილმა პრაქტიკის წარმატებით დამთავრების საბუთები წარუდგინა დირექციას. გემთმწამყვანი განყოფილების უფროსმა შეაქო ისინი, მაგრამ მაინც დაუმატა:

— ვნახოთ, რას მოგვიტანს მეორე კურსი.

მომავალ პრაქტიკაზე ფიქრი არ ასვენებდა მეგობრებს, მაგრამ სწავლაზე გული არ აცრუებიათ, რადგან ერთი საგანიც რომ დარჩენოდათ ჩაუბარებელი, პრაქტიკაზე არ გაუშვებდნენ. თანაც იცოდნენ, იალქნიან ხომალდ „ტოვარიშჩზე" პრაქტიკის გაუვლელად არავინ ჩაითვლებოდა ნამდვილ მეზღვაურად.

„ტოვარიშჩი" ოდესაში ელოდა ბათუმელ კურსანტებს. იქ დახვდათ მათ ოდესელები და ხერსონელები. ზღვაში გასვლამდე არემონტებდნენ ხომალდს, ხეხავდნენ გემბანს, სწავლობდნენ საზღვაო ნასკვების კეთებას, იზეპირებდნენ იალქნებისა და ანძების უამრავ ძნელადდასამახსოვრებელ სახელწოდებებს. ბოლოს გავიდნენ გაშლილ ზღვაში. სანამ ზღვა წყნარი იყო, ყველაფერი რიგზე მიდიოდა და მისრიალებდნენ გაშლილი იალქნებით. მაგრამ ნოვოროსიისკთან ტალღებმა ააბურთავა ხომალდი. ავრალი გამოცხადდა. კურსანტებმა მიჩნეული ადგილები დაიკავეს ანძებზე. რეებზე მკერდითა და მუცლით მიკრულნი, ამაგრებდნენ, ხსნიდნენ იალქნებს. ძლივს-ძლივობით იმორჩილებდნენ წვიმისაგან დამბალ და დამძიმებულ იალქნებს. ფრჩხილებიდან ჟონავდა სისხლი.

კანი სკდებოდა თითებსა და ხელისგულებზე. მაგრამ არავინ ჩიოდა, არავინ წუწუნებდა. ქალიშვილები გრძნობდნენ, რომ მათ შეშფოთებით შესცქეროდნენ ხიდურიდან კაპიტანი და მისი უფროსი თანაშემწე. მაგრამ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. ზღვა დაწყნარდა. მერე ქალიშვილები კუბრიკში იშრობდნენ ტანსაცმელს და გათოშილები ხვრეპდნენ საოცრად სასიამოვნო, ცხელ ჩაის.

„ტოვარიშჩის" შემდეგ ქალიშვილებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. ოთხი მეგობარი შეუპოვრად განაგრძობდა სწავლას. ისინი მუდამ ერთად იყვნენ და სერიოზულად არც ფიქრობდნენ, უფრო სწორად, არ უნდოდათ ეფიქრათ იმაზე, რომ ოდესმე დაშორდებოდნენ ერთმანეთს.

უკან დარჩა მესამე კურსის საზღვაო პრაქტიკა ტანკერებზე. მეგობრებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები და ერთხელ კიდევ გავიდნენ ზღვაში. ამჯერად უკვე საშტურმანო პრაქტიკაზე. იდგა ზამთარი და ზღვა იყო ცივი და აქოჩრილი, ცა— მოკუპრული. შორეულ ფინეთში ომობდნენ ჩვენი მებრძოლები და შავ ზღვამდე აღწევდა ბრძოლის გამოძახილი. გადაჰყავდათ დაჭრილები, გადაჰქონდათ საომარი საჭურველი. ნინო კალანდაძის ძმა ვახტანგი ფინეთის ომში იყო და მისგან ბოლო ხანებში არაფერი ისმოდა. ოთხი ქალიშვილი გემზე ეწეოდა საშტურმანო ვახტს, საწვიმარმოსხმულნი იდგნენ ხიდურზე და სექსტანით გაჰყურებდნენ ცას, ან ჯიხურში კურსი გაჰყავდათ რუკაზე.

ეს პრაქტიკაც დამთავრდა, სახელმწიფო გამოცდებიც ჩააბარეს და დადგა განშორებისა და გამგზავრების დღე. ვაიდე გვარიშვილი და შუშანა თუმანიშვილი კასპიაზე გაანაწილეს, ნინო კალანდაძე და იულია ფაილოძე — შორეულ აღმოსავლეთში.

ნინო და იულია 1941 წლის იანვრის დამდეგს გაემგზავრნენ მოსკოვში, ხოლო იქიდან — შორეულ აღმოსავლეთში. ოცი წლის გოგონები შტურმანის დიპლომებით მივიდნენ ვლადივოსტოკის სანაოსნო სამმართველოში. ამ საზღვაო ქალაქშიც კი გაუკვირდათ ქართველი ქალიშვილების ასეთი გაბედული ნაბიჯი. ორიოდე დღეში დანიშვნა მიიღეს და იულია და ნინო გამოცხადდნენ თავიანთ გემებზე, რომლებიც ჯერჯერობით ნავსადგურში იდგნენ ყინულებში ჩაჭედილები. როგორც კი გადნა ყინული, პირველად იულიას გემი გავიდა რეისში, სახალინისაკენ. ნინომ გააცილა იგი. შემდეგ იულიამ რადიოგრამა მიიღო მისგან — საზღვარგარეთ მივდივართო. ივნისის დამდეგს იულიას გემიც გავიდა საზღვარგარეთულ რეისში. 21 ივნისს ღამით შორეული ამერიკის ნაპირებთან შეიტყო მან ომის დაწყება. სან-ფრანცისკოში ორი თვე იდგნენ სარემონტოდ და სამშობლოსაგან დაშორებულები, რადიოთი ისმენდნენ ომის ამბებს. ვლადივოსტოკში დაბრუნებულებმა, დაწვრილებით შეიტყვეს ყოველივე. ფრონტი მათგან ათასობით კილომეტრით იყო დაშორებული, მაგრამ იულია ფაილოძე და მისი გემის ეკიპაჟი უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ დიდ საქმეში — საომარი საჭურველი და სურსათი ჩამოჰქონდათ ამერიკიდან. ვაიდე და შუშანა იწერებოდნენ კასპიიდან, რომ მათ ირანის მხრიდან გადმოჰქონდათ თავიანთი გემებით ფრონტისათვის საჭირო ტვირთი.

იულია ნინოს კიდევ ერთხელ შეხვდა ვლადივოსტოკში, ხოლო შემდეგ... შემდეგ, როცა ლოსანჟელოდან ბრუნდებოდნენ, შტურმანი იულია ფაილოძე იხმო კაპიტანმა და აცნობა: ღამით რადისტმა ტანკერ „დონბასიდან", რომელზეც ცურავდა ნინო კალანდაძე, მიიღო რადიოსიგნალები. ტანკერი ითხოვდა შველას. შემდეგ სიგნალები შეწყდა.

იულიამ უხმოდ მოისმინა ეს საზარელი ამბავი, შემდეგ ჩაიკეტა თავის კაიუტაში და პატარა ბავშვივით ატირდა. მას არ უნდოდა დაეჯერებინა ნინოს დაღუპვა. ყოველდღე ელოდა ახალ ცნობას, მაგრამ „დონბასი" დუმდა. ვლადივოსტოკში იულია შეხვდა რაღაც სასწაულად გადარჩენილ „დონბასის" კაპიტნის თანაშემწეს, რომელმაც



იულია ფაილოძე

დაადასტურა გემის და თითქმის მთელი ეკიპაჟის დაღუპვა. პირადად მე არ დამინახავს, მაგრამ, შტურმანი კალანდაძეც მათთან ერთად დაიღუპაო.

ასე გამოაკლდა მეზღვაურ ქალიშვილთა ოთხეულს ერთი მეგობარი. ნინოს დაღუპვამ გული დასწყვიტა მეგობრებს, მაგრამ ისინი ნინოს მაინც ცოცხლად თვლიდნენ, ისევე, როგორც არ სჯეროდათ ნინოს დაღუპვა მშობლებს.

ომის წლები შორეულ აღმოსავლეთში გაატარა იულია ფაილოძემ. ვინ მოსთვლის, რამდენი რეისი ჩაატარა გემმა მის მიერ გავლებული კურსით, რამდენი ღამე გაუტეხია ვახტზე მდგომს, ამერიკის, ავსტრალიისა და აზიის რამდენ ნავთსადგურში ჩაუშვია ღუზა. შორეული აღმოსავლეთის იმდროინდელ გაზეთებში, საშტურმანო წიგნაკში მრავალგზისაა აღნიშნული ახალგაზრდა კომუნისტის, შტურმანი ქალის თავდადებული და მამაცური შრომა.

ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ომის ასპარეზმა შორეულ აღმოსავლეთში გადაინაცვლა. იაპონიასთან ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა შორეული აღმოსავლეთის ფლოტი. შტურმან იულია ფაილოძეს სადესანტო ჯარები გადაჰყავდა იაპონიის კუნძულებზე. მტრის წყალქვეშა ნავები და ბომბდამშენები გზას უღობავდნენ ჩვენებს, მაგრამ საბჭოთა არმიის ძლიერი დარტყმების შედეგად სულ მალე დაჰყარა იარაღი იმპერიალისტურმა იაპონიამაც. ომი საბოლოოდ დამთავრდა.

1946 წლის დამლევს იულია ფაილოძე გამოეთხოვა შორეულ აღმოსავლეთს და ექვსი წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. აქვე დახვდნენ კასპიიდან ჩამოსული ვაიდე და შუშანა.

ალბათ, გაინტერესებთ, სად არიან დღეს ისინი, როგორ წარიმართა მათი ცხოვრება?

პირველი აჭარელი მეზღვაური ქალი ვაიდე გვარიშვილი მძიმე სენით დაავადდა და 1950 წელს გარდაიცვალა. შუშანა თუმანიშვილი ახლაც კასპიაზეა, მაგრამ აღარ ცურავს. იგი ცოლად გაჰყა თავის მებრძოლ მეგობარს, გემის კაპიტანს და, ასე თუ ისე, კვლავ ზღვასთანაა დაკავშირებული. იულია ფაილოძემაც ვერ დააღწია თავი „ზღვის ავადმყოფობას", ამჟამად იგი მუშაობს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის ბიბლიოთეკაში.

* * *

...ზღვის ზედაპირზე საერთოდ არ რჩება ნაკვალევი. სამაგიეროდ მისი ფსკერი ინახავს უამრავ ისტორიას. იგი ყვება, თუ როგორ დამეგობრდნენ ზღვა და ოთხი ქალიშვილი.

ა. ჩხაიძე,
ბათუმი.

ეკატერინე სოხაძე

ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმი მოსწავლეთა ძალებით ხშირად დგამდა ნაწყვეტებს ოპერებიდან. სულ მალე დრამატული სოპრანოს ყველა პარტია ეკატერინე სოხაძის კუთვნილება გახდა. მისი პარტნიორები იყვნენ ტექნიკუმის მოსწავლეები: ნადეჟდა ცომაია, პ. ამირანაშვილი, ნ. ცნობილაძე და სხვები. ქუთაისელმა მსმენელებმა შეიყვარეს ახალბედა მომღერლები, მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

საოპერო ხელოვნების კორიფეების ხშირი მასპინძელი იყო მზითა და ეშხით გამთბარი ქუთაისი.

იტალიიდან ახალდაბრუნებულმა ვ. ქაშაკაშვილმა ქუთაისში კონცერტი გამართა — ანტურაჟისათვის კონცერტზე ეკატერინეც ამღერეს. ქაშაკაშვილი და მისი კონცერტმეისტერი ი. გორდონი აღტაცებული დარჩნენ: „თქვენთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს, ეს გზა კონსერვატორიისაკენ, შემდეგ კი ოპერის თეატრისაკენ მიდის“ — ბეჯითად ამბობდა ქაშაკაშვილი, კვერს უკრავდა კონცერტმეისტერი.

რა კმაყოფილებას განიცდის ადამიანი, როცა ცხოვრებაში საკუთარ თავს იპოვის, როცა მთელი გულით მიეცემა საყვარელ საქმეს, მაშინ სიძნელეებიც ხალისიანი გადასალახავია.

ქარმა წელში გასტეხა შხაპუნა წვიმა. ეკატერინემ რიონს გვერდით ჩაუარა და სუროს ფოთლებში ჩაფლული კარი თამამად შეაღო.

სიმღერის მასწავლებელმა მიხაილოვამ იცნო განაწყენებული გოგონა, რომლის კლასიდან თითქმის ყველა გაგზავნეს მუსიკალურ ტექნიკუმში სასწავლებლად, ის კი დაიწუნეს.

ეკატერინეს სიჯიუტემ გული მოულბო პედაგოგს — კარგი, რაკი არ იშლი, ვიმეცადინოთ და ვნახოთ, — ღიმილით უთხრა მან და ქერა თმაზე ხელი გადაუსვა.

სახლში სირბილით მივიდა, ძლივს დაიწყნარა აფორიაქებული გული.

დედ-მამას არ დაუშლია სიმღერის სიყვარული: გემღერება და იმღერეო...

ეს იყო 1925 წელს. თეატრის კარებთან უზარმაზარი აფიშები გამოეკრათ: „საოპერო საღამო. ნაწყვეტები დ. არაყიშვილის ოპერა — „თქმულება შოთა რუსთაველიდან“, ასრულებენ თბილისის ოპერის სოლისტები“.

ამ საოპერო საღამოსათვის გუნდი ქუთაისის მოსწავლეთა ძალებით მოამზადეს. გუნდში ეკატერინე სოხაძეც მღეროდა.

„შრომა მადლის დედაო“ — უთქვამთ, მონდომებამ და შრომამ ნაყოფი გამოიღო. პედაგოგი გვერდიდან აღარ იშორებდა ეკატერინეს, სიამაყით შეჰყურებდა და უკვირდა: როგორ დატკბა ტემბრი, გაფართოვდა დიაპაზონი. ეჭვი არ იყო, იზრდებოდა ნამდვილი საოპერო კადრი.

ასრულდა ეკატერინეს ოცნება, კონსერვატორიამ გულღიად მიიღო, ტექნიკუმიდან პირდაპირ მეოთხე კურსზე-ო. შულგინა-ბახუტაშვილის კლასში ჩარიცხეს, ორ წელიწადში დაამთავრებინეს კონსერვატორია და ოპერის თეატრისაკენ გზა დაულოცეს.

მაშინ ოპერის სცენაზე ბარათოვას ქალი ნებივრობდა, ხელშეკრულების თანახმად, მას უნდა ემღერა სოპრანოს ყველა წამყვანი პარტია.

ეკატერინე სოხაძე მეორე და მესამე პარტიებში გამოდიოდა და მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას, თავისი ელვარე ნიჭით, მშობლიური სცენა რომ დაემშვენებინა.

არც ამ შემთხვევას დაუგვიანებია — თბილისში ცნობილი რუსი მომღერალი პიროგოვი ჩამოვიდა, იდგმებოდა „ფაუსტი“. ბარათოვა გასტროლებზე იმყოფებოდა. დირიჟორმა მელიქ-ფაშაევმა საორკესტრო რეპეტიციაზე ე. სოხაძეს გამოუძახა. რეპეტიციის დამთავრების შემდეგ, ფერმიხდილ მარგარიტას პარტნიორებმა ოვაციები გაუმართეს. ორკესტრის მსახიობებმა ინსტრუმენტებზე ხემები აახმაურეს.

პიროგოვს დიდხანს არ სჯეროდა, რომ სოხაძისათვის ეს პირველი რეპეტიცია იყო, თანაც ისეთ დიდ და რთულ პარტიაში, როგორიც მარგარიტაა.

საკმარისი იყო რეჟისორის პატარა მითითება და ეკატერინე ინტუიციით ხვდებოდა რისი გაკეთება იყო საჭირო.

ყველას სასიხარულოდ, ქართულ საოპერო სცენას მოევლინა სასცენო ხელოვნების ჭეშმარიტი ოსტატი, დიდი შესაძლებლობის მომღერალი ქალი, ლამაზი ძლიერი ხმით, რომლის მსგავსი მანამდე არ ახსოვდა ქართულ საოპერო ხელოვნებას.

ეკატერინემ დებიუტის უფლება მიიღო. მესამე დღეს პიროგოვთან ერთად უნდა ემღერა ოპერა „ფაუსტში“. ბრწყინვალედ ჩატარდა დებიუტი. მეფისტოფელის ბოროტ თვალებში თანაგრძნობის ნაპერწკლები ელავდა, პიროგოვი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო დებიუტანტისათვის. დამთავრდა სპექტაკლი და ფარდის ჩამოშვებისთანავე მან პირველმა გულმხურვალედ მიულოცა ეკატერინე სოხაძეს გამარჯვება.

1931 წლის ზაფხულში ე. სოხაძემ, დ. ბადრიძემ, შ. ცირღილაძემ და ს. გოცირიძემ დიდი საკონცერტო ტურნე ჩაატარეს საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მოსკოვში გამართულ კონცერტს სპეციალური კომისია უსმენდა. და აი, ახალმა ამბავმა კულისებშიც შეაღწია: ეკ. სოხაძეს, ს. გოცირიძეს და დ. ბადრიძეს დიდ თეატრში იწვევენო. გოცირიძე და ბადრიძე მოსკოვში დარჩნენ, ეკატერინეს კი გულმა შინისკენ გამოუწია. 1937 წელს ეკატერინე მეორედ მიიწვიეს დიდ თეატრში, დებიუტი შესთავაზეს ოპერა „ფაუსტში“, ფაუსტს ი. კოზლოვსკი მღეროდა, მეფისტოფელს — ა. ბატურინი.

მაინც ვერ შეელია საყვარელ თბილისს, მით უმეტეს, რომ საქართველოში იმ დროს დეკადისათვის გაცხოველებული სამზადისი იყო გაჩაღებული.

ეკატერინე სოხაძის ნიჭი მშობლიურ სცენაზე გამობრწყინდა. მღეროდა სოხაძის ქალი და კულისებიდან ყველა მაყურებელთა დარბაზში გარბოდა, რომ იქიდან ესმინათ მისთვის, ესმინათ მისი ეთერისა და მაროსათვის, ტატიანასა და მარფასათვის, დეზდემონასა და მიქაელასათვის, ბა-

ეთერი—„აბესალომ და ეთერი“.

ტერფლაისა და ნედასათვის... მთელ თავის სასიცოცხლო ძალას აქსოვდა მსახიობი სიმღერაში. ყოველი სპექტაკლის შემდეგ თეთრად ათენებდა ღამეებს. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი მხარე უფრო მაღალ დონეზე იდგა ამ უბადლო შემოქმედის ხელოვნებაში: აქტიორული თუ ვოკალური. "ყველა მონაცემის ბედნიერი შერწყმა". — კმაყოფილებით ამბობდა დიდი დირიჟორი ე. მიქელაძე. სავსე გულია, გრძნობების ულევი წყაროაო, — ამბობდნენ მისი პარტნიორები.

ეკ. სოხაძე, დრამატული მსახიობის მსგავსად, ნაწარმოების აზრს პირველად სიტყვიერ ტექსტში ეძებდა, ის თავისებურად კითხულობდა ნაწარმოებს და მისი გმირებიც მისებურნი, სოხაძისებურნი იყვნენ: გულუბრყვილონი, სათუთნი. დეზდემონას იგი წარმოგვიდგენდა ძლიერ, თამამ, დამოუკიდებელ და სიყვარულისათვის მებრძოლ ქალად. მისი მიქაელა ძლიერი ნებისყოფის ქალი იყო, რომელსაც მოვალეობა აიძულებდა დონ-ხოზე მიუვალ მთებში მოეძებნა.

მაყურებელთა აღიარება რჩეულთა ხვედრია, რჩეულნი კი ერის ისტორიას ამშვენებენ.

1937 წლის დეკადა მოსკოვში ეკატერინე სოხაძის ტრიუმფით აღინიშნა. ეკ. სოხაძე პირველი ქართველი მომღერალი ქალია, რომელმაც მიწვევა მიიღო მოსკოვის დიდ თეატრში, მასთან სიამოვნებით მუშაობდნენ სახელგანთქმული დირიჟორები: ევგენი მიქელაძე, მელიქ-ფაშაევი.

წლების მანძილზე იწვოდა ეკატერინე სოხაძე ქართულ საოპერო სცენაზე, იწვოდა და სწვავდა მაყურებელსაც...

* * *

საღამოა. ღია ფანჯრიდან მოჩანს ზღაპრულ ფერებში გახვეული მთაწმინდა. ოთახის სიღრმეში როიალი დგას. კედელზე გაკრული სურათებიდან იცქირება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ეკატერინე სოხაძე, სხადასხვა როლებში, სხვადასხვა გამომეტყველებით და იერით: დეზდემონა, უბედური ბატერფლაი, ბედკრული ეთერი, სიყვარულისათვის თავდადებული მარო, ლეგენდარული ნესტან-დარეჯანი, შეშლილი მარფა, იენგიჩარი

ბატერფლაი—„ჩიო-ჩიო-სანი".

ნედა—„ჯამბაზები".

ტატიანა—„ევგენი ონეგინი".

მეფისაგან წამებული ლატავრა... პატარა მაგიდაზე ვერცხლის ლარნაკი დგას, ირანული წარწერით. იატაკს ამშვენებს ირანის შაჰის ნაჩუქარი ფიანდაზი. როიალზე აწყვია უამრავი ნოტები წარწერებით, მოძღვნილი კომპოზიტორების: თ. შავერზაშვილის, კ. ფოცხვერაშვილის, ა. მაჭავარიანის, გრ. კოკელაძის, შ. მშველიძისაგან.

ვიქტორ დოლიძის ნაჩუქარ კლავიერზე თითქოს ახლაც ღვივიან წითელი მიხაკები, ყოველი სპექტაკლის შემდეგ ხელების კანკალით რომ უფენდა კომპოზიტორი თავის საყვარელ მომღერალს.

კარგა ხანია თბილისის საზოგადოებას აღარ გაუგონია მსახიობი ქალის ხმა, არ დამტკბარა მისი უბადლო ნიჭის მადლით.

თვითონ?! მის გულში ისევ ღვივის შემოქმედის ჩაუქრობელი ცეცხლი, სოლო კონცერტს ამზადებს პროფესორ შვედოვთან და მის მეუღლე ა. იუროვასთან ერთად, კვლავ რომ დაატკბოს და გაახაროს მაყურებელი.

ნუნუ მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიდა ანიკო

— დეიდა ანიკო, საგანი მაქვს ჩასაბარებელი, შემირჩიეთ დამხმარე ლიტერატურა, აი ამ თემაზე, — უწვდის ფურცელს ახალგაზრდა მუშა ბიბლიოთეკის გამგე ანა ლაშაურს.

— სამუშაოს დამთავრების შემდეგ შემოიარე, დაგახვედრებ.

— დეიდა ანიკო, მომეცით რაიმე კარგი წიგნი, თქვენ იცით, მე როგორი წიგნებიც მიყვარს, —ეუბნება ლაშაურს მრთველი გოგონა.

— დეიდა ანიკო, მოხსენებისათვის მასალები მჭირდება...

— კამვოლური საამქროს წითელი კუთხისათვის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მომეცით...

— ანიკო, ზეგ რომ ლექცია გვაქვს ხომ არ დაგავიწყდა. გააფრთხილეთ ხალხი?

და ასეა ყოველთვის...

დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე არ წყდება მიმოსვლა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკას დიდი ფართობი არა აქვს დათმობილი, მაგრამ ეს ფართობი ბიბლიოთეკის გამგეს მეტად გონივრულად აქვს გამოყენებული. შუაში დგას დიდი მაგიდა, მასზე 79 სახელწოდების ჟურნალი და 19 სახელწოდების გაზეთი აწყვია.

რა დროსაც არ უნდა შეხვიდეთ, მაგიდა მუდამ მკითხველებითაა დაკავებული. არც საკვირველია. კომბინატში სამი ათასზე მეტი კაცი მუშაობს. აქედან 1.300 მუდმივი მკითხველია.

ანიკო ლაშაურს ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მკითხველებთან, მან კარგად იცის ვინ რა სახის ლიტერატურით არის გატაცებული. უამრავი სახელწოდების ლიტერატურიდან იგი ადვილად პოულობს თითოეულისათვის საჭირო წიგნს. მთელი დღე დატვირთვით მუშაობს. საქმეს რა გამოულევს, რამდენს სჭირდება მისი რჩევა-დარიგება. ყველას თხოვნას უჩვეულო გულმოდგინებით აკმაყოფილებს.

12 წლისა იყო ანიკო ლაშაური დედა რომ გარდაეცვალა, მამამ სმას მიჰყო ხელი; მალე უპატრონოდ მიატოვა შვილები და სადღაც გადაიხვეწა. დარჩნენ ობოლი და-ძმა 12 წლის ანიკოს ამარა... წელებზე ფეხს იდგამდა საზრიანი გოგონა. ცოტა რომ მოიზარდა, გადაწყვიტა ემუშავა და თბილისის სამკერვალო ფაბრიკას მიაკითხა. ბინაც მუშების საერთო საცხოვრებელში მისცეს. უმცროსი და-ძმა კი ბავშვთა თავშესაფარში მოათავსეს. ეს იყო 1924 წელს.

ობლობასა და გაჭირვებაში გამოზრდილი ხევსური გოგონა გატაცებით შეუდგა მუშაობას, ამასთან სწავლაც დაიწყო საღამოს ათწლედში. 1925 წელს ლენინური კომკავშირის რიგებში შევიდა.

მისი ცხოვრება უფრო შინაარსიანი და მდიდარი გახდა.

— ბევრი, ძალიან ბევრი და კარგი საქმე გაკეთეს მაშინ კომკავშირელებმა. ამას რა დამავიწყებს. მეც ხომ მათთან ერთად ვიყავი, — იგონებს ხოლმე ანიკო...

ცხოვრება დიდი, მტკიცე ნაბიჯებით მიდიოდა წინ, საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალ ახალ ფაბრიკა-ქარხანას...

1929 წელს დაიწყო თბილისის მაუდის ფაბრიკის პირველი საამქროების მშენებლობა. საჭირო იყო მრთველები.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აქტიური კომკავშირლები ოთხთვიან კურსებზე მიავლინა მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკაში, რთვა და ქსოვა რომ შეესწავლათ. მათ შორის ანიკოც იყო.

მრთველის პროფესიადაუფლებული ანიკო 1930 წლის იანვრიდან მუშაობას იწყებს კომბინატში მრთველად.

საერთო საცხოვრებელში ცალკე ოთახი გამოუყვეს ანიკოს. მისი და-ძმა: ვასო და თამარი ფაბრიკაში მოაწყვეს მოწაფეებად, ამან ფრთები შეასხა ანიკოს. არა, კოლექტივი რომ არ დახმარებოდა, ნამდვილად გაუჭირდებოდა...

მერე ანიკო კომბინატის კლუბის გამგედ გადაიყვანეს. მან გარს შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები, ჩამოაყალიბა წრეები, ჩვეული სიყვარულით, სულითა და გულით მიეცა საქმეს.

სწრაფად მიჰქროდნენ დღეები. ცხოვრება გოლიათური ნაბიჯებით მიდიოდა წინ. ანიკო საკუთარი თავის უკმაყოფილო იყო. სწავლა სწყუროდა. როგორც იყო, გაბედა და ფაბრიკის დირექციას თხოვნით მიმართა:

— მინდა უმაღლესი განათლება მივიღო წარმოებიდან მოუწყვეტლად. კლუბში დღედაღამ დაკავებული ვარ, დრო არ მრჩება, სადმე სხვაგან გადამიყვანეთ...

აქტიური მუშაკის თხოვნას ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ანგარიში გაუწია და საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექტორის ძოადგილედ გადაიყვანეს.

მალე ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა ომის საშინელება. მამაკაცებმა ფრონტს მიაშურეს. საზრუნავი გაუსაკეცდათ ზურგში დარჩენილთ...

ანიკო ლაშაურმა ცეცხლი მოიკიდა — საჰაერო თავდაცვის საგუშაგოები, დიასახლისების ღამე, სამორიგეოდ განაწილება, მარტოხელად დარჩენილი ავადმყოფების მოვლა-პატრონობა, ჯართის შეგროვება, და განა ყველაფერს ჩამოთვლი, რასაც მაშინ ეს გამრჯე ქალი აკეთებდა?! იგი საკუთარ სისხლსაც კი აძლევდა დაჭრილ მებრძოლებს.

მაუდ-კამვოლის კომბინატის საამქროებში შეუსვენებლად დგანდგარებდნენ მანქანები, არ არსებობდა გრაფიკი, არ არსებობდა განსაზღვრული დრო...

ანიკო იმ დღეებში კომბინატის საბავშვო ბაგის გამგედ დანიშნეს. რამდენი შიში და გულისხეთქვა გამოიარა მაშინ. ხუმრობა როდი იყო 90 ძუძუმწოვარა ბავშვის მოვლა. და ანიკოც მთელი ომის მანძილზე ბაგაში ათენებდა და აღამებდა.

შემდეგ ომი ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა.

დაიწყო მშვიდობიანი შრომა. კომბინატის ხელმძღვანელობამ ანიკო ლაშაურს ბიბლიოთეკის გამგეობა შესთავაზა, იცოდნენ წიგნის რა მოყვარულიც იყო იგი. ბიბლიოთეკა კი ცუდად მუშაობდა.

— ღარიბი მემკვიდრეობა მივიღე, — გვეუბნება ანიკო, — სულ 2000 წიგნი იყო ბიბლიოთეკაში. ამოდენა კოლექტივისათვის ეს ზღვაში წვეთს წარმოადგენდა. ახლა 19 ათასამდე წიგნი მაქვს. ხელმძღვანელებიც ძალიან მეხმარებიან.

ეს უპრეტენზიო და თავდაბალი მუშაკი ყოველთვის იქ არის, სადაც საქმე მოითხოვს. მას კოლექტივი აფასებს და პატივს სცემს. მისი კარგი მუშაობა არაერთხელ აღნიშნულა ჯილდოებით, ქების სიგელებით. მის შესახებ არაერთხელ დაწერილა ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში. ანიკო ლაშაური თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის დიდი კოლექტივის ღირსეული წევრია.

მ. ტყემალაძე

ისევ ეკონომიკაზე

ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდება სახალხო მოხმარება, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ვაჭრობის სისტემის მუშაკებისაგან მოითხოვენ პატიოსან და უმწიკვლო მუშაობას ამასთან ერთერთ ძირითად ამოცანად სახავენ ქალთა ფართოდ ჩაბმას სავაჭრო ქსელის მუშაობაში. ეს ამოცანა ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ სრულდება დამაკმაყოფილებლად. „სავაჭრო საქმეში სუსტად არიან ჩაბმული ქალები, —ვაჭრობის სისტემის მუშაკთა საერთო რიცხვიდან ქალები მხოლოდ 49,9 %-ს შეადგენდნენ“— განაცხადა ამხანაგ ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ოქტომბრის პლენუმზე.

ვაჭრობის საქმეში ქალთა ჩაბმის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. აქ ვაჭრობის სისტემაში მომუშავეთა 60 პროცენტი ქალია.

* * *

ოცდახუთი წელია ვაჭრობას ემსახურება აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე თამარ შარია.

ადრე სპეცმშენებლობის უფროსად მუშაობდა თამარი. თოვლში, წვიმაში რამდენჯერ შემოღამებია რიცის ტბაზე, რამდენჯერ დათენებია გაგრის გზაზე! სამშენებლო ობიექტებს თამარი აწვდიდა საშენ მასალას, სურსათს, აჩქარებდა მუშებს. იყრებოდა ბალავარი, ეწყობოდა აგური აგურზე, შენდებოდა პანსიონატები, დასასვენებელი სახლები...

ბევრი რამ ახსოვს თამარს. როცა იგი ქუჩაში გამოვა და ჩუქურთმებში ჩასმულ ათასფრად მოლივლივე ქალაქს გახედავს, აგონდება წინანდელი სოხუმი — ჩამუქებული, ჩაბნელებული, აქა იქ საცოდავად მბჟუტავი ფანრები, თითოოროლა დუქანი, დუქნის წინ ლაზღანდარა, ღიპიანი ვაჭრები. ცეცხლის ფასად იყიდებოდა ნარმა, ჩითი და ჩითის კაბა სანატრელი ჰქონდა ბევრს. თამარი მაშინ ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა. გიმნაზია დაამთავრა და ოჯახში დაბრუნდა. სწავლის გაგრძელების არც საშუალება ჰქონდა და არც შორს წასვლის უფლებას მისცემდნენ მშობლები.

მალე დროება შეიცვალა. თამარი ინდუსტრიულ ტექნიკუმში შევიდა. 1925 წელს დაამთავრა იგი და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაზე ოცნებობდა. დაოჯახების შემდეგ თამარი პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო ბუღალტრად. მყუდრო და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, რომ მოულოდნელად შვილი არ დაღუპვოდა. მერე თამარი და მისი მეუღლე მოსკოვში გადავიდნენ. თამარი პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის სავაჭრო საქონლისმცოდნეობის ფაკულტეტზე მოეწყო. მეორე კურსზე იყო, საყვარელი მეუღლე რომ დაკარგა. წიგნები უქარვებდა დარდს. დაამთავრა ინსტიტუტი და იქვე სამრეწველო ვაჭრობაში საქონლისმცოდნედ დაიწყო მუშაობა. მაგრამ ლურჯი ზღვა, ძალიან ლურჯი ცა, თოლიები და მწვანე მთები არ აძლევდნენ მოსვენებას, თავისკენ ეძახდნენ...

მომხმარებელთა კონფერენცია

1941 წელს დაბრუნდა იგი სოხუმში. მაშინ ომი იყო. უჭირდა ხალხს. მოძალდა უკაცოდ დარჩენილი ოჯახები, შავოსანი ქალები. მაშინ ის საკურორტო ვაჭრობაში სპეცვაჭრობის განყოფილების გამგე იყო, ამარაგებდა სამხედრო ნაწილებს, მესაზღვრეებს, რკინიგზელებს და მათ ოჯახებს. მარაგი მცირე იყო. თამარმა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დასვა საკითხი დამხმარე მეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ. ქალაქის ახლოს გაშენდა მეურნეობა. იმარჯვეს ქალებმა, მოჰყავდათ სიმინდი, ბოსტნეული, მოამრავლეს ძროხები, ღორები, ფუტკრის ოჯახები, ეხმარებოდნენ ფრონტელებსა და მათ ოჯახებს. მამაცური შრომით მრავალმა ქალმა გაითქვა სახელი. ომის დღეებმა ბევრი რამ ასწავლა მათ, ბევრი გამოცდილება მისცა. მაშინდელი ქალებია ახლა რომ მხარში უდგანან თამარს და პასუხსაგებ ადგილებზე მუშაობენ: საკურორტო ვაჭრობის დირექტორის მოადგილეა ტატიანა ჭკადუა, სასადილოების ტრესტის დირექტორის მოადგილედ მუშაობს ნინო გადილია, დიეტურ სასადილოს განაგებს ზინა ცეიბა, № 16 მაღაზიის დირექტორია რაისა ხიჟბა.

თამარის თვალწინ გაიზარდა ჩერქეზი გოგონა მარია ქუმაზოვა-მელაძე. თექვსმეტი წლის მარიამმა მორცხვად შეაღო მისი სამუშაო ოთახის კარი. ფართოდგახელილ თვალებში ცრემლები

თამარ შარია

კიაფობდნენ. აკანკალებული ხელებით გაუწოდა განცხადება და უამბო:

...შვიდი წლის იყო მარია, როცა მშობლები დაკარგა და ბიძასთან ერთად სამშობლოდან სოხუმში გადმოიხვეწა. ხანმოკლე აღმოჩნდა ბიძის სიცოცხლე. უმწეო ბავშვი კეთილმა აფხაზმა ხალხმა შეიკედლა, ყურადღება და სითბო არ მოაკლო, „ახლა მეც მინდა სამაგიერო გადავუხადო ჩემს აღმზრდელებსო“. თამარმა მაღაზიაში მოლარედ გაგზავნა იგი. მარია უანგაროდ ემსახურებოდა ხალხს. საჩივრის წიგნში არცერთი საყვედური არ იყო მის მიმართ. მხოლოდ მადლობის ჩანაწერებით იყო სავსე. ახლა დიდი უნივერსალური მაღაზია ჩაბარეს. 30 კომკავშირელი ქალიშვილი მუშაობს ამ მაღაზიაში. ყველას სპეციალური სავაჭრო სკოლა აქვს დამთავრებული. 30 მარჯვენა ტრიალებს აქ და გადაჭარბებით სრულდება საქონელბრუნვის გეგმები.

მარიამ მელაძეს ეჯიბრება ქსოვილების № 5 მაღაზიის გამგე ევდოკია აგრბა.

ფეხს შედგამ თუ არა № 5 მაღაზიაში, სახე-

მოცინარე ევდოკია შემოგეგებება. შავთვალა გოგონები კი ტკბილად მოგმართავენ:

— რას ინებებთ?

მერე სხარტად მოგაწვდიან ამა თუ იმ საქონელს.

1959 წლიდან დაიწყეს აქაურმა ქალიშვილებმა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებისათვის ბრძოლა. და გამარჯვებაც ხვდათ წილად.

ევდოკია ცდილობს ყველაზე დიდი მოთხოვნილების საგნები გამოულეველი ჰქონდეთ მაღაზიაში. იგი პერიოდულად აწყობს მომხმარებელთა კონფერენციებს. მომხმარებელთა სურვილებს და პრეტენზიებს მუშაობაში ითვალისწინებს მაღაზიის გამგე. მომხმარებელთა კონფერენციებს ხშირად ესწრება თამარ შარია. ეს მას საშუალებას აძლევს იცოდეს თუ რას მოითხოვენ ისინი.

თამარის ერთერთი ძირითადი საზრუნავია სავაჭრო ქსელის უმწიკვლო და პრინციპული ადამიანებით დაკომპლექტება, მუშაობაში ახალგაზრდობის უფრო ფართოდ ჩაბმა. თამარი ლექციურ პროპაგანდასაც ეწევა თანამშრომელთა შორის. იგი ვაჭრობის ეკონომიკის შემსწავლელ სემინარს ხელმძღვანელობს, პარტიის საოლქო კომიტეტის შტატგარეშე ინსტრუქტორ-აგიტატორი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ვაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეა.

ხშირად დადის თამარი რაიონებში. როცა იგი გუდაუთში მაღაზიების წინ ჩაივლის, არ შეიძლება № 3 მაღაზიას გვერდი აუაროს. ამ მაღაზიის მზატანსაცმლის სექციაში 26 წელია მუშაობს მინუცა ტარბა. 26 წელია თავაზიანი, ზრდილი ქალი დილიდან საღამომდე ფეხზე ტრიალებს და მომხმარებლებს თვალწარბში შესცქერის.

№ 24 მაღაზიაშიც შეივლის თამარი. აქ კომკავშირელი ქალიშვილები კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებისათვის იბრძვიან. შესანიშნავი გემოვნება აქვთ ქალიშვილებს, მომხმარებელს შეხედავენ თუ არა, იციან, ვის რა ფერის კაბა ან კოსტუმი მოუხდება. გუდაუთის საკურორტო ვაჭრობის საპატიო დაფას ხშირად ამშვენებს ლუსია ავიძბას, რიმა ბაციცის და ცირა ცუკბას სურათები.

გუდაუთში „კურორტვაჭრობის“ სამმართველოს კადრების განყოფილებას ნათელა იოსავა ხელმძღვანელობს. არ ავიწყდება ნათელას თამარ შარიას დედაშვილური დარიგება: კადრებს გაუფრთხილდი, მიმტაცებლები და გამფლანგველები არ დაინდოო. ნათელამ გარშემო ახალგაზრდობა შემოიკრიბა. განსაკუთრებით ქალებში გაიზარდა მუშაობა.

ნათელა ისე არავის მიიღებს სამუშაოზე, თუ თვითონ კარგად არ შეამოწმა და არ დარწმუნდა, რომ ახალბედა მუშაკი მაღალი მორალური თვისებითაა დაჯილდოებული, პატიოსანი და სინდისიერია.

ახლადაშენებულ მაღაზიებში, კაფეებში, საადილოებსა თუ რესტორნებში თეთრხალათიანი ქალიშვილები ტრიალებენ და კეთილსინდისიერად ემსახურებიან მომხმარებლებს.

ოლია რევია

ქრისტინა ჟივულსკაია

პოლონელი მწერალი

სასიამოვნო მოლოდინი

წელს ძალზე ცვალებადი ზაფხული იყო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც თერმომეტრმა თხუთმეტი გრადუსი სითბო უჩვენა, ირენამ გადაწყვიტა, რომ უკვე დროა სასეირნოდ გავიდეს. ჩაიცვა ახალი კოსტუმი (საზღვარგარეთული ქსოვილი ადგილობრივად შეკერილი), საბჭოური წინდები, ფრანგული ტუფლები და ფორმით საერთაშორისო და შინაარსით პოლონელი ქალიშვილი მსუბუქი ნაბიჯებით პარკისაკენ გაეშურა. მერხზე ჩამოჯდა, თავი ცისკენ შეაბრუნა, თვალები მილულა; ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, ეს კი მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ნეტარებით დაემორჩილა მზის პირველი სხივების მომხიბლავ ეშხს.

უცებ მამაკაცის დახშული ხმა შემოესმა: „უკაცრავად...“ ირენა შეკრთა, მხოლოდ შინაგანად, გარეგნულად არც კი განძრეულა. ვინ შეიძლება იყოს? რა უნდა? თუმცა რა შეიძლება უნდოდეს მამაკაცს ასეთ შესანიშნავ მზიან დღეს? უბრალოდ, ქალიშვილი მოეწონა და ცდილობს გაეცნოს. უკეთესია თვალები არ გავახილო და დავრჩე ასე, სასიამოვნო მოლოდინში.

„უკაცრავად...“ — შემოესმა კვლავ, მაგრამ ამჯერად უფრო დაჟინებით...

საინტერესოა, როგორი გარეგნობისაა? თუ ხმის მიხედვით ვიმსჯელებთ, შავგვრემანი უნდა იყოს... თუმცა, ვინ იცის... რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი ხმის ქერა ხალხიც არსებობდეს? იქნებ ჟან მარესაც გავს... ერთი წუთის შემდეგ ალბათ გასეირნებას შესთავაზებს... სხვა რა უნდა შესთავაზოს ასეთ მშვენიერ ზაფხულის დღეს?

მერე და უარი რატომ უნდა უთხრას? ზრდილობის წესი მსგავს შემთხვევებში ძალიან მოძველებულად გამოიყურება... რა მოხდა მერე, რომ ეს ახალგაზრდა ვაჟი ოფიციალურად არავის არ წარუდგენია მისთვის. ეჭვი არ არის, რომ იგი კეთილი, კულტურული და კარგად აღზრდილია, თორემ განა ასე მორცხვად მიმართავდა?.. რატომ არ უნდა წავილაყბო მასთან? და თუ ამ საუბარს გაცნობა მოჰყვება, უბრალოდ სასაცილო იქნებოდა წინააღმდეგობის გაწევა. როგორც ჩანს, მის ახალ კოსტუმს მიაქცია ყურადღება. მამაკაცები ასეთ შემთხვევაში საშინლად დაბნეულები არიან, წვრილმანებს ვერ ამჩნევენ, მხოლოდ მთლიანობაში აღიქვამენ...

ახლა იგი მას ეტყვის: „რა ლამაზი კოსტუმი გაქვთ!“

მაშინ ის უპასუხებს: „მართლა მოგწონთ? მე ეს მამაჩემის ძველი პიჯაკიდან გადავიკეთე“. ასე უპასუხებს იმიტომ, რომ ხომ ვერ ეტყვის: „მე ის გუშინ დავიხსენი მკერავისაგან, ძალიან ძვირი დამიჯდა, ვალებში ჩავიფალი და ახლა მთელი ნახევარი წლის მანძილზე უნდა ვიხადო ფული...“ არც ერთ ქალს არ შეუძლია ამის თქმა. ენას კბილს დააჭერს და ჩუმად დაიწყებს ვალის გადახდას... რა დიდი რამეა ბოლოს და ბოლოს ეს უმნიშვნელო მსხვერპლი ამ გაფურჩქვნილი ზაფხულის საკურთხეველზე! ეჰ, კარგი იქნებოდა, რომ ამაზე მეტი მსხვერპლის შეწირვა არ გვიხდებოდეს!..

შემდეგ ვაჟი ჰკითხავს: „რას აკეთებთ დღეს საღამოს?“ ის უპასუხებს: „დღეს საღამოს არა მცალია, მაგრამ ხვალ თავისუფალი ვარ“.

ძალიან თანამედროვეც რომ იყვე, წესი არ არის მაშინვე დათანხმდე პაემანზე. მამაკაცს თავის მოტყუების საშუალება უნდა მისცე, თითქოს იგი ქალის გულის დამპყრობელია. მაშ, ხვალ... ხვალ შეიძლება ვისლაზე წასვლა. საღამოთი წყალი აელვარდება მთვარის შუქზე, სანაპიროზე მიმოიფრქვევა ჟასმინის არომატული სურნელება და სადღაც ახლოს შემოგვესმება...

— უკაცრავად... — მოულოდნელად გაისმა მის თავთან.

ქალი ადგილიდან წამოხტა და დაინახა სიმპატიური მოხუცი.

— უკაცრავად, — აღელვებით განაგრძო მან, — მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა... საქმე იმაშია, რომ ეს მერხი... ეს ეს არის შევღებეთ!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ჩვენი საახალი ქალი

კოსმეტიკა თანამედროვე ქალის გზრუნვა მამაკაცებზე!

ჯანმრთელობას და კარგ ხასიათზე ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შრომისუნარიანობისათვის. მამაკაცს ეს უკეთ ესმის, ვიდრე ქალს. ამიტომ ის შუახნის ასაკიდან უფრო მეტად მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს, ვიდრე ქალი.

ქალებს მოსწონთ, როცა მამაკაცი ყურადღებას აქცევს თავის გარეგნობას, იცვამს გემოვნებით, კულტურულად უჭირავს თავი საზოგადოებაში.

დროის სწორი განაწილება და კვების რეჟიმის დაცვა, სუფთა ჰაერზე სეირნობა და ნორმალური ძილი, აგრეთვე ჰიგიენის წესების დაცვა: აბაზანები, მასაჟი, ორთქლის აბაზანები სასარგებლო და საჭიროა როგორც ქალების, ასევე მამაკაცების ჯანმრთელობისა და სილამაზისათვის.

საერთოდ, მამაკაცს უყვარს სუფთად ჩაცმა. მაგრამ ის არ ატარებს იმ წვრილმან მოსართავებს, რომლითაც ქალი ხშირად ხაზს უსვამს თავის ინდივიდუალობას. პუდრი, სუნამო, ფრჩხილების ლაქი, კონტრასტული ფერები ჩაცმულობაში, ულტრამოდური თმის ვარცხნილობა, თმის დახვევა, სხვადასხვაგვარი გულსაბნევები შეუფერებელია თანამედროვე საზოგადოების მამაკაცისათვის. არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ გვსურდეს მამაკაცი იყოს უფერული, რომ მისი ტანსაცმელი მოკლებული იყოს ფანტაზიას.

ისმება კითხვა, რა უფრო აინტერესებს მამაკაცს კოსმეტიკიდან? — უპირველეს ყოვლისა, პარსვა.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პარსვა მამაკაცისათვის ყველაზე არასასიამოვნო მომენტია. ის ამ დროს ჩქარობს, ნერვიულობს; ღაწვები დაფარული აქვს საპნის ქაფით. ზოგჯერ ბრაზობს იმიტომ, რომ საპარსი არ არის მახვილი და შეიძლება კანი გაეკაწროს. ერთი სიტყვით, როცა მამაკაცი პირს იპარსავს, ჯობია გავეცალოთ.

ახლა საქმის ვითარება შეიცვალა, თანამედროვე მამაკაცს შეუძლია შეიძინოს კარგი პირსაპარსი ან ელექტროსაპარსი. ამავე დროს, სპეციალური კრემი (პირის პარსვის შემდეგ სახმარებლად) და ოდეკოლონი.

გაპარსვის ყველაზე ძნელი და რთული მომენტი გასაპნვაა. საპონი არბილებს და აპრიალებს ბეწვს, ასწორებს კანს. კარგი ხარისხის საპონი იძლევა სასიამოვნო, სქელ ქაფს. საერთოდ, გასაპარსად ხმარობენ სტეარინკალიუმის საპონს ან სოდიანს, ქოქოსის ზეთის მინარევით. ძლიერ ტუტოვანი საპონი აადვილებს პარსვის პროცესს, მაგრამ, ამავე დროს, აღიზიანებს კანს. მგძნობიარე კანი ცუდად იტანს მაღალხარისხოვან საპონს. ასეთი კანის მქონე მამაკაცმა უმჯობესია იხმაროს არატუტოვანი საპონი, რომელიც წყლისა და ცხიმის ემულსიას წარმოადგენს, ის იცავს კანს გაშრობისა და გაუხეშებისაგან. კანის გაღიზიანება პარსვის შემდეგ იმით გამოიხატება, რომ წითლდება და ფხანა ეწყება. კანს დაიწყნარებთ ბორიანი წყლით ან გვირილას ნახარშის თბილი კომპრესით. ზოგჯერ კანი გაიწმინდეთ ხისტგაცლილი წყლით ან სპირტის მადეზინფიცირებელი ხსნარით და მერე წაისვით პუდრი.

მამაკაცებმა, რომელთაც მშრალი კანი აქვთ, გაპარსვის შემდეგ აუცილებლად უნდა იხმარონ დამარბილებელი კრემები. კოსმეტიკა ამის წინააღმდეგი არ არის. კანის მოვლის პრინციპი ძირითადად ერთი და იგივეა როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის. მაგრამ კაცებს მაინც ვურჩევთ უფრო თავშეკავებული იყვნენ სხვადასხვა სუნის მქონე კოსმეტიკური საშუალებებისაგან. მათ არ უნდა იხმარონ ქალის კრემები და ოდეკოლონები.

პარსვის პროცესთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს აგაცილებთ ელექტროსაპარსი. თუ ელექტროსაპარსს შეიძენთ, კანი თანდათანობით უნდა შეაჩვიოთ მშრალ პარსვას. დასაწყისში გაიპარსეთ უფრო ხშირად, რომ საპარსის მოძრაობის სწორ მიმართულებას მიეჩვიოთ. ფრთხილად უნდა იყოთ აგრეთვე ბლაგვი საპარსის დროს და ერიდოთ გრძელი თმის უხეშ ამოძრობას. ელექტროსაპარსი განსაკუთრებით რეკომენდებულია იმ მამაკაცებისათვის, რომელთაც მგძნობიარე ან დაავადებული კანი აქვთ (მაგალითად, ეგზემა).

პარსვის შემდეგ საჭიროა საპნის მოცილება წყლით, ნაკაწრების დეზინფიცირება, კანის წესრიგში მოყვანა. სამართებელი და ჯაგრისი გარეცხეთ თეთრი შაბით და გაამშრალეთ პირსახოცით, რომ ყოველთვის მზად გქონდეთ. ცხადია, პარიკმახერმაც უნდა იხმაროს მადეზიფიცირებელი ხსნარი სამართებლის გასაწმენდად და დაიბანოს ხელი ყოველი გაპარსვის წინ. მხოლოდ ამ გზით დაიცავთ თავს ინფექციებისაგან. საერთოდ კი, თუ კანი წესრიგში არა გაქვთ, ჯობია იქვენ თვითონ გაიპარსოთ. სახლში უნდა გაიპარსონ იმ მამაკაცებმაც, ვისაც კანზე ავადმყოფობის ნიშნები აქვთ, მაგალითად, ისეთი არასასიამოვნო დაავადებისა, როგორც სოკოვანაა. არასასიამოვნო გართულებას წარმოადგენს თმის შეწებება, რაც გამოწვეულია თმის არათანაბარი ზრდის ბუნებრივი მიდრეკილებით და რქოვანა გარსით, რომელიც აღიზიანებს კანს და იწვევს მასზე გამონაყრების გაჩენას. შეწებების მიზეზი შეიძლება იყოს გაუპარსავ თმაზე პერანგის მოჭერილი საყელოც. ამ შემთხვევაში უნდა შეიძინოთ გამადიდებელი შუშა და სუფთა ნემსით ნელა გაათავისუფლოთ თმა რქოვანა გარსისაგან, ხოლო შემდეგ ყურადღებით გაიპარსოთ.

ჰალსტუხი

ჰალსტუხი მამაკაცის ტანისამოსის ისეთი ატრიბუტია, რომელსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, მხოლოდ სამკაულს წარმოადგენს. ამიტომ მისი შეხედვა, როგორც სამკაულისა, სიამოვნებას უნდა გვრიდეს ადამიანს, იყოს ლამაზი, სუფთა და კარგად განასკვული, მან კოსტუმს რაღაც ახალი, ელეგანტური იერი უნდა შემატოს.

ამ ერთი წლის წინათ მოდების დარგის საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ერთი დასავლეთელი სნობის სიკვდილის შესახებ. გავრცელებული იყო აზრი, რომ ეს კაცი ყველაზე უკეთესად იცვამდა და როგორი იყო გაკვირება, როცა გამოირკვა, რომ მას დარჩა მხოლოდ სამი კოსტუმი და... სამასი ჰალსტუხი. ძნელია დადგენა, ანეგდოტია ეს თუ სიმართლე. ფაქტი ის არის, რომ მამაკაცის ჩაცმულობაში ჰალსტუხს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ.

სამასი ჰალსტუხისა და სამი კოსტუმის ისტორია იმიტომ კი არ გავიხსენეთ, რომ იგი ახალგაზრდობამ სამაგალითოდ მიიჩნიოს და მიბაძოს. პირიქით, ჩაცმასა და მოდაში უკიდურესობა ახირებულობაა, ორიგინალობის გამოდევნება ყოველთვის არავაჟკაცურ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ამ ისტორიაში არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი — მოხდენილად შერჩეულ ჰალსტუხს მართლაც შეუძლია შექმნას შთაბეჭდილება თითქოს კოსტუმიც სხვა გაცვიათ. ცხადია, საამისოდ საჭიროა გქონდეთ უნარი, ცოდნა, გემოვნება. თუ ეს თვისებები გაგაჩნიათ, სამი ჰალსტუხიც საკმარისია, თუ არადა, სამასიც ვერაფერს გიშველით. საბედნიეროდ, ცოდნის დაუფლება და გემოვნების განვითარება თვით ჩვენზეა დამოკიდებული.

არასოდეს ისე ადვილი არ ყოფილა ჰალსტუხის შერჩევა, როგორც დღეს. ახლა მოდაშია ნაცრისფერი ჰალსტუხები: ვერცხლისფერ-ნაცრისფერი, მუქი ნაცრისფერი, სპილოსძვლისფერ-ნაცრისფერი, ანთრაციტისფერი — ერთი სიტყვით, ნაცრისფერების მთელი გამა. ეს ფერი კარგად ეხამება ყველა მოდური ფერის კოსტუმს. ნაცრისფერი ხომ ისეთივე ნეიტრალური ფერია, როგორც თეთრი და შავი. საჭიროა მხოლოდ შეარჩიოთ სწორი ტონი და ნახატი.

როცა ვამბობთ: მოდაში ნაცრისფერია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პატივს არ ვცემთ სხვა ფერებს. იხმარება ყველა ფერის ჰალსტუხი, მხოლოდ ნაცრისფერი ჭარბობს. ყველა ფერი ლამაზია, თუ ისინი შერჩეულია სწორად — კარგად შეხამებულია კოსტუმისა და პერანგის ფერთან. მოხდენილად შეხამების რეცეპტის გამოწერა ძნელია. თქვენმა თვალებმა თვითონვე უნდა შეარჩიოს რომელი ფერი რომელს უხდება. მხოლოდ ფერებისა და ნახატის შერჩევის დროს ყოველთვის უნდა გამოხვიდეთ კონტრასტის პრინციპიდან (ეს პრინციპი გაბატონებულია ხელოვნების ყველა სახეში და ცხადია ჩაცმის ხელოვნებაშიც).

მაგალითად, სახეებიანი კოსტუმისათვის არჩევენ უსახო, ხოლო უსახო კოსტუმისათვის — სახეებიან ჰალსტუხს. ზოლებიან კოსტუმს უხდება დაწინწკლული ან წვრილუჯრედებიანი ჰალსტუხი. თამამად შეიძლება იხმაროთ უსახო ჰალსტუხიც. სასიამოვნო კონტრასტის შექმნა შეუძლია აგრეთვე ირიბ და განივზოლებიან ჰალსტუხს.

უჯრედებიან კოსტუმზე იკეთებენ უსახო ჰალსტუხს, თუ უჯრედები ძალიან წვრილია, ჰალსტუხი შეიძლება იყოს სახეებიანიც, მაგალითად, დიაგონალისებური ზოლებით, რომელსაც კვლავ პირველი ადგილი უჭირავს მოდაში.

ღია ფერის კოსტუმისათვის კარგია მუქი ფერის, ხოლო მუქი ფერის კოსტუმისათვის ღია ფერის ჰალსტუხი. ვერცხლისფერ-ნაცრისფერი ჰალსტუხი მუქი ფერის საღამოს კოსტუმზე ისეთი კომბინაციაა, რასაც დიდი ხანია მიმართავენ და რაც, ალბათ, ისევ დიდხანს იქნება მოდაში, მოხდენილად ნაპოვნი კონტრასტული სილამაზის გამო.

ერთი რამ მაინც უნდა ვიცოდეთ: კონტრასტი არ უნდა იყოს მეტისმეტად თვალში საცემი.

ჰალსტუხის შერჩევის დროს არ დაივიწყოთ პერანგის ფერიც. სამმხრივ შეხამებას (კოსტუმი-პერანგი-ჰალსტუხი), უნარიანი შერჩევის დროს, შეუძლია ძოგვცეს ფერთა ლამაზი აკორდი, მაგალითად: ნაცრისფერი კოსტუმი, მოჩალისფრო-ყვითელი პერანგი, ლურჯი ჰალსტუხი; ყავისფერი კოსტუმი, ცისფერი პერანგი, მუქი წითელი ტონის ჰალსტუხი; ლურჯი კოსტუმი, ნაცრისფერი პერანგი, მუქი მწვანე ტონის ჰალსტუხი.

კონტრასტულობის პრინციპთან ერთად ჩაცმულობაში გამეფებულია მეორე პრინციპიც — საერთო ტონის პრინციპი. მაგალითად, ჰალსტუხს არჩევენ ისეთივე ტონისას, როგორიც კოსტუმია, მხოლოდ ოდნავ უფრო მუქი ან ოდნავ უფრო ღია ფერისას.



* * *

კარგად ჩაცმული მამაკაცი ამჯობინებს გაიკეთოს უფრო სადა, ვიდრე მყვირალა და თვალშისაცემი ფერის ჰალსტუხი. ჰალსტუხის ამოცანაა თვითონ კი არ მიიქციოს ყურადღება, არამედ ხაზი გაუსვას მამაკაცის სისადავესა და ვაჟკაცურ ინდივიდუალობას.

არ იხმაროთ მოხატული ჰალსტუხი. იალქნების და მტრედების, მაიმუნების და პალმების გამოსახატავად ხელოვნებაში არსებობს უფრო მოხერხებული საშუალებანი, ვიდრე მამაკაცის გულმკერდია. არ გაიკეთოთ ჰალსტუხის ქინძისთავი, რითაც იგი პერანგზე მაგრდება. ჰალსტუხი უფრო ლამაზია, როცა თავისუფლად ეშვება.

არ გირჩევთ პლასტმასის ჰალსტუხს, იგი ცუდ გემოვნებაზე მეტყველებს.

დაბოლოს კვანძის შესახებ. არ იხმაროთ საფაბრიკო წესით გაკვანძული ჰალსტუხი. წესიერად ჩაცმულ მამაკაცს უნდა შეეძლოს მისი გაკვანძვა. ყრუდ გაკვანძული ჰალსტუხიც ცუდი გემოვნების ნიშანია. ყველაზე თანამედროვეა ორმაგი, ე. წ. ვინძორული კვანძი, ამ დროს ჰალსტუხი ნაკლებად სრიალებს და თავისუფლადაც ეშვება.

მუდმივად სუფთა და დაუთოვებული იქონიეთ ჰალსტუხი, ყოველი ჩაცმის დროს ახლად გაიკვანძეთ, თუ გსურთ მან შეასრულოს თავისი ნამდვილი ფუნქცია — ესთეტიკური ფუნქცია.

ზეპეირება

ტატუირება (ნაკოლკა) ნიშნავს კანში წინასწარგანზრახვით უსსნადი, უცხო საღებავი ნაწილაკების შეყვანას იმ მიზნით, რომ კანზე შეიქმნას წარუშლელი ნახატი ან წარწერა. გვხვდება უნებლიე ტატუირებაც. იგი წარმოიქმნება უბედური შემთხვევის დროს შეღებილი ნაწილაკების, მაგალითად, ნახშირის მტვერის, საფანტის და სხვათა კანში შეჭრით. ის გამოიყურება მოლურჯო, გაფანტული წერტილების სახით და მისი მოცილება არც თუ ისე იოლია.

ტატუირება ორგვარია: დაშტრიხული და კონტურული. დაშტრიხულია, როცა მთელი ნახატი საღებავითაა დაფარული, ხოლო კონტურულია, თუ საღებავით მარტო სურათის კონტურია შემოვლებული.

ტატუირების მოცილების მსურველი ბევრია. მისი მოცილება შეიძლება ელექტროაპარატით, რასაც უპირატესობა აქვს სხვა მეთოდებთან შედარებით.

ტატუირების მოცილების წინ საჭიროა გავეცნოთ პაციენტის საერთო მდგომარეობას და ყურადღება მივაქციოთ კანის ნაწიბურების წარმოქმნის მიდრეკილებას.

პაციენტმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მკურნალობის ვადა ხანგრძლივია (4-5 კვირა), შეხორცება მიმდინარეობს ნელა, ამასთან შეხვევა აუცილებელია, ისიც უნდა იცოდეს, რომ ოპერაციის შემდეგ დაუშვებელია კანის დასველება.

ერთბაშად არ შეიძლება ნახატის დიდი ნაწილის მოცილება. ეს განსაკუთრებით საშიშია იმ პირებისათვის, ვინც ფიზიკურად შრომობს და ვისაც საშუალება არა აქვს ექიმის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ იყოს. რეკომენდებული არ არის აგრეთვე ორივე ხელის ნახატის (თუ ასეთი არსებობს) ერთდროულად მოცილება, რადგანაც ხელებს ძალაუნებურად დაისველებთ, რაც ანთებით მოვლენებს გამოიწვევს.

ავადმყოფს საერთოდ ეკრძალება ნაოპერაციევი ნაწილის დასველება. მისი გაწმენდა რეკომენდებულია მხოლოდ სპირტით და ოდეკოლონით. ავადმყოფი უნდა ერიდოს ტრავმას, დაქეჟილობას ან ქერქის მოცილებას.

ტატუირების მოცილებისას სერიოზულ გართულებად ითვლება კანის ნაწიბურის ჭრილობა, რომლის წარმოქმნის წინასწარი განსაზღვრა და მასთან ბრძოლა ძალიან ძნელია. თუ ავადმყოფს გადატანილი აქვს ტრავმები და დამწვრობა, ხოლო ოპერაციული ჩარევები ნაწიბურის ჭრილობების წარმოქმნით მთავრდება, მაშინ ტატუირების მოცილებისასაც შეიძლება გამოვიწვიოთ ნაწიბურების წარმოქმნა. კელოიდების (ნაწიბურების) პროფილაქტიკისათვის ფართოდ იყენებენ მინისებური სხეულების ინექციებს და ალოეს.

ირინე ფერეთელი,
ექიმი-კოსმეტოლოგი

საკარტოფილის კერძები

კარტოფილი ისეთი პროდუქტია, რომელიც ყოველდღიურად უნდა შედიოდეს ჩვენს მენიუში.

კარტოფილს სხვადასხვანაირად ამზადებენ: ბოსტნეულთან ერთად, კარაქით, ხორცით, რძით, ყველით, არაჟნით, ზოგჯერ კი — ამ პროდუქტების გარეშეც.

კერძეულობის მომზადებისას კარტოფილი ფრთხილად უნდა დამუშავდეს, სახელდობრ, მისი გათლა თუ დაჭრა უშუალოდ საჭმლის დამზადებისას უნდა მოხდეს.

წინასწარ დამუშავებული კარტოფილი ჰაერის ზემოქმედებით კარგავს ვიტამინ C-ს.

კარტოფილი ჯერ უნდა გაირეცხოს, მერე გათალოს (კანი თხლად შემოაჭერით, რადგან ქერქის ქვეშაა თავმოყრილი მარილები და ცილები) და ცივ წყალში დაუჭრელად, მთელმთელი ჩაიყაროს. წყალში გაჩერება ერთ საათზე მეტ ხანს დაუშვებელია, რადგან ვიტამინი ადვილად იხსნება. სასურველ ზომაზე მხოლოდ საჭმელში ჩაშვების წინ უნდა დაიჭრას.

კანიახად მოხარშვისას კარტოფილში შემავალი ვიტამინების 25 პროცენტი იკარგება, ხოლო გათლილი კარტოფილის მოხარშვისას — 40-50 პროცენტი.

წყალი, რომელშიც მოხარშეთ გათლილი კარტოფილი, არ უნდა გადაღვაროთ, ის შეგიძლიათ გამოიყენოთ ხორციანი სუპის ან სხვადასხვა სოუსის მოსახარშად.

თუ ხარშვისას წყალში 1-2 დაფნის ფოთოლს და 2-3 კბილ ნიორს ჩაუშვებთ, კარტოფილს სასიამოვნო გემო და სუნი მიეცემა.

კარტოფილი თეთრი გახდება თუ ხარშვისას 2 ჩაის კოვზამდე ძმარს ჩაუმატებთ.

წყლიდან ამოღებული კარტოფილი ჩაის ტილოთი გააშრეთ, შემდეგ ადუღებულ კარაქიან ქვაბში ჩაყარეთ. ასე შემწვარი, კარგად დაიბრაწება, თანაც ხრამუნა იქნება.

ხშირად კარტოფილს ხმარობენ ტკბილი ცომის მოსამზადებლად. ის ცომს მოყვითალო ფერსა და სიმსუბუქეს აძლევს. კარტოფილიანი ნამცხვარი ნაკლებად საჭიროებს კვერცხს.

ცომისათვის კარტოფილს კანში ხარშავენ, გაციების შემდეგ კი ხეხავენ. გახეხილი კარტოფილი ცხელ რძეში კოვზით უნდა აილესოს, რომ ცომში პატარა-პატარა ნაკუწები არ შეჰყვეს.

კარტოფილიანი ტკბილი ცომი წინასწარ გახურებულ ჩუდოში ან გაზქურაში დიდ ცეცხლზე უნდა გამოცხვეს.

კარტოფილისაგან დამზადებული ტკბილი ნამცხვარი თბილი უფრო გემრიელია, ვიდრე ცივად.

კარტოფილისაგან შეიძლება მომზადდეს 130-მდე სხვადასხვა გემრიელი და ნოყიერი კერძი. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

ქარგოფილის სუპი ხორცით

200 გრ ხორცი დაჭერით შუათანა ნაჭრებად. დაასხით 2 ლიტრამდე წყალი, როცა ნახევრად მოიხარშება, დაამატეთ 1 თავი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 1 ძირი ოხრახუში, პატარა თავიანი კომბოსტოს 1-4 ნაწილი. უყავით მარილი. მოხარშული ბოსტნეული სუპიდან ამოიღეთ (კომბოსტო შეგიძლიათ ცალკე შეკაზმოთ ბაჟეთი), მერე სუპში ჩაუშვით 500 გრ გათლილი, ოთხოთხ ნაწილად დაჭრილი კარტოფილი და ხარშეთ მანამდე, ვიდრე არ შერბილდება. სუფრასთან სუპთან ერთად მიიტანეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კამა.

ქარგოფილის პიურე

1 კგ კარტოფილი კარგად გარეცხეთ, გათალეთ, ჩააწყვეთ ქვაბში, ზევიდან ადუღებული მარილიანი წყალი დაასხით, ისე რომ კარტოფილს $^3/_4$-ზე ფარავდეს. კარტოფილი რომ მოიხარშება, წყალი გადაწურეთ. ხის კოვზით კარგად გასრისეთ, დაამატეთ: $^1/_2$ ჭიქა ცხელი რძე. 1, $^1/_2$ სუფრის კოვზი კარაქი, ერთი უმი კვერცხის გული, 2 სუფრის კოვზი არაჟანი და ურიეთ მანამდე, ვიდრე კარგად არ გაითქვიფება.

დამზადებული პიურე ლანგარზე ხორცის გვერდით მოათავსეთ (ქვაბიდან პიურე ცხელ წყალში დასველებული კოვზით ამოიღეთ), ლამაზი ფორმა მიეცით, თავი ოდნავ შეუბრტყელეთ და ზევიდან კოვზით გამდნარი კარაქი მოასხით, შეალამაზეთ სალათის ფოთლებით და ოხრახუშით.

ასე დამზადებული კარტოფილი შეგიძლიათ შეაფერადოთ მოხარშული ისპანახის წვენით ან უმად გახეხილი სტაფილოსა და ჭარხლის გამონაწურით. მიიღებთ წითელ, ყვითელ და მწვანე ფერის პიურეს.

ქარგოფილი კვერცხით

მ ა ს ა ლ ა: 5 ცალი დიდ-დიდი კარტოფილი, 5 კვერცხი, 50 გრ ცხიმი, მარილი, ოხრახუში.

დ ა მ ზ ა დ ე ბ ა: გათლილი კარტოფილი გარეცხეთ, ცალი მხარე ბრტყლად შეუჭერით, რომ შეწვისას მოხერხებულად განალაგოთ. ნახევრად შემწვარ კარტოფილებს კოვზით ამოაცალეთ გული, შიგნიდან ამოუსვით კარაქი. ასე მომზადებულ კარტოფილში ჩაასხით კვერცხი, მოაყარეთ მარილი და წვრილად დაჭრილი მწვანილი, მერე გაზქურაში შედგით და წითლად დაბრაწეთ.

ც. ელიგულაშვილი,
ლ. პაიჭაძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იუმორი

ი. დოიაშვილი

ვ. მიშველაძე

ა. ერაძე

ა. ერაძე 63.

დ. ბაშალეიშვილი

რედაქტორი თ. აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**

მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20 I-64 წ. ქაღალდის ზომა 60 92, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1,75. პირობით ფორმათა რაოდენობა 5,3.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ტირაჟი 48.000. შეკვეთის № 2824, უე 04032.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14. **ფასი 30 კაპ.**

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინოსახლური

ორი პამაკი პამაკისთვის

სალამი! აქ სამკერვალო ატელიეა? ამხანაგი ხელოსანი თქვენ იქნებით? ვიმედოვნებ დიპლომიანი. შემთხვევით თან ხომ არა გაქვთ დიპლომი? ვისი ხელმოწერაა ასეთი გაურკვეველი? 30 წელიწადში მელანი, რა თქმა უნდა, გახუნდებოდა, მაინც სასურველი იყო გაგება ვისი ხელმოწერაა. თქვენ მხოლოდ 30 წელიწადია რაც კერავთ? მანამდე რას აკეთებდით? არ გეწყინოთ ამდენს რომ გეკითხებით, მაგრამ მე ისეთი ძვირფასი საშარვლე ქსოვილი მოგიტანეთ, არ მინდა გამიფუჭონ. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ შარვლის შეკერვას? მე ხომ ჩვეულებრივი შარვალი არ მინდა? მე მინდა ისეთი შარვალი, რომლის ჩაცმას შევძლებ ქალაქშიც, სამსახურშიც, მაშინაც კი როცა სახლში ვზივარ. თქვენ გქონიათ შარვლის შეკერვის შემთხვევა? ხედავთ? მე განსაკუთრებული ფიგურა მაქვს. ჯერ კუჭია, მერე მუცელი, მერე კი იწყება ფეხები. ხედავთ? ორი ფეხი მაქვს და შარვალმა ისინი მთლიანად უნდა დაფაროს, ფეხსაცმელებიანად. თქვენ ძაფით შეკერავთ, თუ... რითი? ძაფით? როგორი ძაფით? მაგარით? რამდენს გაუძლებს ერთი ძაფი? 10 კილოგრამს? 20-ს, არა? ოჰ! ოჰ! ბოლოსდაბოლოს ფრთხილად ვიქნები. თქვენ თვითონ გამოჭრით ქსოვილს? ჯერ ცარცით დახაზავთ? მერე ლაქები არ დააჩნდება? ჯაგრისით გაწმენდთ? როგორი ჯაგრისით? ნეილონის არ გახეხავს? თუ შეიძლება მიჩვენეთ ჯაგრისი! ვხედავ, ვხედავ, თითქოს საიმედოა. მაკრატლით გამოჭრით? მერე არ გაჭრის ქსოვილს? აჰ, იქ სადაც საჭიროა? კარგით. ხელი ხომ არ გიკანკალებთ? აბა, გამოსწიეთ წინ ხელები! ახლა გიჩვენებთ ქსოვილს. კიდევ ერთი შეკითხვა: თქვენ თვითონ ამიღებთ ზომას? საზომი ხომ სწორი გაქვთ? ბოლოები ლითონით ბოლოვდება? ღილებს დამიკერებთ? რამდენს? რვა ცოტა არ არის? 9 ბევრი არ იქნება? რა აწერია ღილებს? არაფერი! მერე რაიმე დეფექტის დროს ვის მივმართო? მაჩვენეთ, ვნახო რომელი ჭარხნისაა! ახლა გიჩვენებთ ქსოვილს. რა ბრძანეთ! აქ უნდა დავტოვო? მერე ეს საჩისკო არ არის? ბოქლომი კარგი გაქვთ? რამდენი გასაღები აქვს? მეორე ვისთან არის? ვერ მომცემთ იმ მეორეს მე? ოჰ, აქ სხვა ქსოვილებიც არის? არ შეიძლება ყველა კლიენტმა რიგრიგობით ვიმორიგეოთ? არ არის საჭირო? ერთი ეს მიბრძანეთ, თაგვები ხომ არა გყავთ? აჰ, კატა გყავთ? მერე სად მიგყავთ კატა ღამით? აქ ტოვებთ? რას აკეთებს კატა მთელ ღამეებს? არ იცით? მერე და რა იცით რას დამართებს კატა ქსოვილებს?· კატას ხომ პასუხს ვერ მოთხოვთ? — ეტყვით მხოლოდ „აცხა“. არა. ჯერ ვერ დავტოვებ ქსოვილს. ნება მიბოძეთ ვიფიქრო. სხვა დროს შემოვივლი. ნახვამდის. „აცხა“.

თარგმნა **მერი მასხარაშვილმა**

614996



ეროვნული ბიბლიოთეკა
NATIONAL LIBRARY